ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

1
იანვარი
1953

ეროვნული ბიბლიოთეკა



სახლი გორკაში, სადაც გარდაიცვალა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი

# პიონერი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 1
იანვარი, 1953 წ.
წელიწადი XXVII


6604



ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერული სიმღერა ლენინზე

ალექსანდრე გომიაშვილი

როცა იყო ცეროდენა
და მერცხალის ჰქონდა ენა—
დილით ადრე თმახუჭუჭა
იჩქაროდა სკოლისკენა.
იჩქაროდა ის პატარა,
მიარღვევდა ნამქერს თვალი
და მის მხრებზე ფრიალებდა
ახალ თოვლის ნაფერთალი.
«სწავლა არის ცოდნის დედა,
შუქნათელი ბნელში მზედა»—
ის ამბობდა და ცეცხლივით
მისი გული გიზგიზებდა.
რა დრო იყო! მზეს კორტნიდა
ორთავიან ორბის ბწკალი...
მაგრამ ხალხი ზრდიდა გმირსა,
მერხზე იჯდა ნაპერწკალი.
მერხზე იჯდა ის პატარა,
თმახუჭუჭა ვალოდია
და მიტომაც ნაპერწკალში
ჩვენ ვგულისხმობთ ლენინს დიადს.

ნაპერწკალი ცეცხლად იქცა,
გაიარა სკოლის კარი—
და იმ ბნელში გაანათა
დღევანდელი დღის ცისკარი.
ხალხის ღელვამ ცა გააპო,
მომავლისკენ გასჭრა კვალი
და ვრცელ გზაზე ჩვენს წინაპრებს
წინ წარუძღვა ნაპერწკალი.
ელვა იყო მისი ხედვა,
«ნაპერწკალი» — ბნელში მზედა
და ვით მერხზე ნაპერწკალი,
ხალხში ცეცხლი გიზგიზებდა.
ახლა მერხზე სხვა მოდგმა ზის,
მისი მოდგმა ღირსეული
და ჩვენს გულში რომ ანთია,
ცეცხლი არი მისეული.
ჩვენი სკოლის, ჩვენი რგოლის,
ჩვენი რაზმის თვალის ჩინი—
მისი დიდი სახელია
და ჩვენც ვსწავლობთ ილიჩივით.

# ჩვენ, ნორჩი ლენინელები

ზაქარია შერაზადიშვილი

ჩვენია სკოლაც, წიგნებიც,
უზარმაზარი ქარხნებიც,
ჩვენია მთები, ველები.

საბჭოთა ქვეყნის ბავშვები
ვართ და მარადჟამს ვიქნებით
ნამდვილი ლენინელები.

ვსწავლობთ, ვსწავლობთ და ვისწავლით;
ვით ძია ლენინს სჩვევოდა,
ჩვენც სიბეჯითე გვჩვევია.

წიგნი, კალამი ცინცხალი,
რვეული ახალთ-ახალი
სულ ჩვენთვის შეურჩევიათ.

სწავლა გვიშუქებს გონებას,
ჩვენ, ნორჩი ლენინელები
ვიზრდებით მხნე და გულადნი.
რომ არ დავდივართ მონებად,
ვით უცხოეთის ბავშვები,
ლენინის საქმეს ვუმადლით,
სტალინის ზრუნვას ვუმადლით.

ჩვენია მთებიც, ველებიც,
უზარმაზარი ქარხნებიც,
ჩვენია სკოლა, წიგნები.

საბჭოთა ქვეყნის ბავშვები—
ნამდვილი ლენინელები
ვართ და მარადჟამს ვიქნებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანატოლ ალექსინი

ნახ. გ. ფოცხიშვილისა

# ორი პორტრეტი

დიდი ქალაქია კალკუტა, ყველაზე დიდი ქალაქი ინდოეთში! ამ ქალაქში ლამაზი, სუფთა ქუჩებია და მაღალი სახლები, რომლებშიც ცხოვრობენ ინგლისელები, ამერიკელები და მდიდარი ინდოელები. მაგრამ ყველაფერი ეს ქალაქის ცენტრშია.

აბა, გახედე განაპირა უბნებს—და შენ დაინახავ საცოდავ ქოხმახებს. ამ ქოხმახებში ხალხს პირდაპირ მიწის იატაკზე სძინავს. დაძველებული სახურავები ვერ იფარავენ მათ საშინელი ტროპიკული კოკისპირული წვიმებისაგან.

კალკუტაში არის სრულიად განსხვავებული კვარტალებიც. იქ ღარიბზე ღარიბესი ქოხებია, ჭუჭყიანზე ჭუჭყიანი ქვაფენილები. მგზავრები გვერდს უვლიან ამ კვარტალებს და იმათ მხარეს გახედვისაც კი ეშინიათ. „რატომ?“—იკითხავ შენ, პატარა მკითხველო. იმიტომ, რომ ამ ღატაკთა კვარტალებში ცხოვრობენ ადამიანები, რომლებთანაც, საშინელი ინდური ადათების მიხედვით, არ შეიძლება ლაპარაკი, რომლებთანაც არ შეიძლება შეხება. მათ ასეც ეძახიან: „შეუხებელნი“.

ათი წლის მოჰანი ცხოვრობდა ერთ ერთ ასეთ კვარტალში. მოჰანის მამა მენაგვე იყო. შეუხებლებს, მხოლოდ ყველაზე ჭუჭყიანი სამუშაოს შესრულება შეუძლიათ. ბიჭი მამასთან ერთად მუშაობდა.

ქუჩაში სიარულის დროს პატარა მოჰანს ხმამაღლა უნდა ეყვირა და ხელებ‸ ექნია, რომ ყველას გაეგო მისი მოახლოება და დროულად გასცლოდა.

ერთ საღამოს მოჰანი მუშაობდა ქალაქის ერთერთ ქუჩაზე, თავის კვარტალის ახლოს. უცებ ქოხიდან, რომლის გვერდითაც ის ნაგავს ჰგვ‸და, გამოვიდა მაღალი, გამხდარი ინდოელი. ბავშვი რომ შენიშნა, გაჩერდა და ჰკითხა:

— აქ რას აკეთებ, ბიჭუნა?

მოჰანმა თავი ასწია და დაინახა ‸ეთილი თვალები, რომლებიც ალერსიანად დასცქეროდნენ ზემოდან. ბიჭმა, როგორც ყოველთვის, დაიყვირა და ხელების ქნევა დაიწყო, მაგრამ უცნობს არ შეშინებია მისი ყვირილის და არც გაქცეულა; პირიქით, მან უფრო ალერსიანად გაიღიმა და ხელი გაუწოდა:

— მოდი, გავიცნოთ ერთმან‸თი! მე მქვია—მანურატი. შენ რაღა გქვია?

მოჰანმა სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა. თავის სიცოცხლეში მას პირველად გაუწოდა ხელი სხვა კასტის * ადამიანმა.

უცნობმა კი მხიარულად გაიცინა და უთხრა:

— ასე საშინლად რად დაგიჭყეტია თვალები, ბიჭუნავ? იქნება შუბლზე მაწერია რამე?

შემდეგ კი ხელი ჩაიქნია და დაუმატა:

* კასტა—ჯგუფი. მთელი ინდოეთის მოსახლეობა დაყოფილია დიდ ჯგუფებად, კასტებად. „შეუხებელნი“—ყველაზე დაბალი კასტის ადამიანებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუმცა, კიდეც რომ მეწეროს, შენ მაინც ვერ წაიკითხავდი. შენ, ალბათ, არც სწავლობ სკოლაში?!

უცნობის მომღიმარმა სახემ გაამხნევა ბიჭი და მან წყნარად უპასუხა:

— მე არ ვსწავლობ სკოლაში...

უცნობი უცებ მოიღუშა და უთხრა:

— ეს ძალიან ცუდია, რომ არ სწავლობ.

— მაგრამ განა მე ვარ ამაში დამნაშავე?!

— მაშ ვინაა დამნაშავე?

— არ ვიცი,—უპასუხა ბიჭმა.

— მოვა დრო და გაიგებ!—მტკიცედ თქვა უცნობმა.

და უცებ შესთავაზა:—გინდა, მე გასწავლი წერა-კითხვას?

გაკვირვებისაგან მოჰანმა ვერაფერი უპასუხა, მაგრამ უცნობმა პასუხი ბიჭის სიხარულით გაბრწყინებულ თვალებში ამოიკითხა.

ასე დაიწყო ეს არაჩვეულებრივი ნაცნობობა.

მოჰანის მამამ გაიგო, რომ მანურატი მუშაობდა საფეიქრო ქარხანაში. „ის ძალიან კარგი ადამიანია!“—ამბობდნენ მეზობლები. თან ხმადაბლა უმატებდნენ „ის კომუნისტია! ის გვიცავს ჩვენ, „შეუხებელთ“.

საღამოობით მოჰანი ხშირად დადიოდა მანურატის ქოხში. ბიჭისთვის ეს ყველაზე ბედნიერი საათები იყო. ის დიდხანს უჯდა ხოლმე ქაღალდის ფურცელს, რომელზედაც დაწერილი იყო ინდური ანბანის ყველა ასო. მოჰანი მათ ზეპირად სწავლობდა. მანურატი ხშირად ამოწმებდა მის ცოდნას.

მანურატს ორი წლის წინათ შიმშილით მოუკვდა ვაჟიშვილი და ცოლი. ახლა ის მარტოდ-მარტო იყო და მოჰანს, როგორც საკუთარ შვილს ისე ექცეოდა.

ერთ საღამოს, გამომშვიდობებისას, მანურატმა ბიჭს უთხრა:

— ხვალ მამაშენიც მოიყვანე, დე იმანაც გაიხაროს შენი წარმატებით.

მეორე დღეს მოჰანი მამასთან ერთად მივიდა. მანურატმა ნამდვილი გამოცდა მოუწყო ბიჭს. „ეს რა ასოა?“—ეკითხებოდა ის. და მოჰანი გაბედულად, მკვირცხლად აძლევდა პასუხს.

მამას სიხარულის ცრემლები უბრწყინავდა თვალზე.

— ჩვენს გვარში ჯერ არავის სცოდნია ასოების საიდუმლოება,—უთხრა მან შვილს.—შენ პირველმა გაიგე ეს საიდუმლოება!..

შემდეგ მანურატს მიმართა:—მითხარი, კეთილო კაცო, ვინ გასწავლა ასეთი კარგი მოპყრობა ადამიანისადმი? ვინ გასწავლა შენ ჩვენი — „შეუხებელთა“ დახმარება, რომლებთანაც სხვებს დალაპარაკებაც კი არ უნდათ? ვინ გასწავლა ყველაფერი ეს?

მანურატი უხმოდ წამოდგა ჭილოფიდან და მიუთითა პატარა სურათზე.

— აი, ვინ მასწავლა ყველაფერი ეს!

— რა ჰქვია ამ კაცს?—ჰკითხა მოჰანმა.

— შენ თვითონ წაიკითხე, ახლა ხომ იცი ასოები,—მაშასადამე, შესძლებ წაიკითხო მთელი სიტყვაც!

მოჰანი ახლოს მივიდა პორტრეტთან და ნელა, დამარცვლით წაიკითხა: ლ ე ნ ი ნ ი.

ეს იყო პირველი სიტყვა, რომელიც ბიჭმა წაიკითხა თვითონ...

— ლენინი... მე დავიმახსოვრებ ამ სახელს!—თქვა მოჰანმა, თან ყურადღებით აკვირდებოდა იმ კაცის სახის ნაკვთებს, რომელმაც ბევრ ადამიანს ასწავლა კეთილი საქმის გაკეთება და ბოროტებასთან ბრძოლა.

* * *

გავიდა ორი თვე, ამ ხნის განმავლობაში მოჰანმა არა მარტო კითხვა, არამედ წერაც ისწავლა. მართალია, მისი დაწერილი სიტყვები, ჯერ კიდევ აჩხა-ბაჩხა იყო, მაგრამ მაინც სიტყვები იყო, რომელთაგანაც შესდგებოდა მთელი წინადადებები.

და სწორედ მაშინ გაუზიარა მოჰანმა თავისი ოცნება მანურატს.

— მე მინდა წერილი მივწერო ლენინს.—თქვა მან.—მე მინდა ვუთხრა იმ კაცს დიდი, დიდი მადლობა!

მანურატის სახემ სერიოზული და თითქმის მკაცრი გამომეტყველება მიიღო, როგორც ბიჭს მოეჩვენა. მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ მან უთხრა:

— მაგრამ ეს შეუძლებელია...

— რატომ?—გაუკვირდა ბიჭს.

— იმიტომ, რომ ლენინის გულის ცემა შეწყდა მრავალი წლის წინათ.

— შეუძლებელია!—დაიყვირა მოჰანმა.—შეუძლებელია; ის არ შეიძლებოდა მომკვდარიყო!..

და უცებ ბიჭს თვალებიდან ცხარე ცრემლები გადმოსკდა.

მოჰანს არასოდეს უტირია ასე მწარედ.

მაშინ მანურატმა ბიჭს თავზე ხელი დაადო და უთხრა:

— ნუ ტირი... შენ ხომ არ მოგისმენია ბოლომდე. ლენინის გულმა შესწყვიტა ფეთქვა. ეს მართალია, მაგრამ ლენინი არ შეიძლებოდა მომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედარიყო. ის ცოცხალია. დიახ, ის ცოცხლობს თავის ყველაზე უკეთეს და ყველაზე ერთგულ მოწაფეში. მისი სახელი არის სტალინი. სტალინი, როგორც ლენინი, გვასწავლის ხალხისათვის კეთილი საქმის გაკეთებას და ბრძოლას ბოროტებასთან. ის, როგორც ლენინი, ფიქრობს შენზეც, მამაშენზეც, მოჰან, ყველა ჩაგრულზე და ლატაკზე.



ბიჭი უსმენდა თავისი უფროსი მეგობრის მღელვარე სიტყვებს და ცრემლები აშრებოდა ლოყებზე.

— მაშინ, მე წერილს სტალინს მივწერ!—მტკიცედ თქვა მოჰანმა.

— მისწერე, უსათუოდ მისწერე!—უთხრა მანურატმა და დაუმატა:

— სწორედ დღევანდელ ჩვენს კომუნისტურ გაზეთშია დაბეჭდილი სტალინის სურათი.

მანურატმა ფრთხილად ამოჭრა პორტრეტი გაზეთიდან და დაიწყო მისი გაკეთება კედელზე, ლენინის სურათის გვერდით. მოჰანი ეხმარებოდა მას, როგორც შეეძლო.

— მე უკვე მოვრთე ჩემი ქოხი ხვალინდელი დღისათვის!—თქვა მანურატმა.

— რა იქნება ხვალ?—ჰკითხა ბიჭმა.

— ხვალ იქნება დიდი ზეიმი,—მიუგო მანურატმა, ბიჭს მხრებში მოჰკიდა ხელები და მაგრად აკოცა.

ეს იყო აპრილის უკანასკნელი დღე. ქალაქში გაზაფხული დგებოდა. ის ჩვენს ცხელ ზაფხულზე უფრო მცხუნვარე იყო.

* * *

მეორე დილით კი, მოჰანი, როგორც ყოველთვის, მამასთან ერთად გამოვიდა სამუშაოდ, მაგრამ იმ დილით მათ არ მოუხდათ ქუჩის დაგვა, იმიტომ, რომ ქუჩა სავსე იყო უამრავი ხალხით.

ხალხს მოჰქონდა წითელი დროშები და პორტრეტები. ბიჭი დააკვირდა და პორტრეტებზე ნაცნობი სახეები დაინახა.

მოჰანმა პორტრეტებზე მიუთითა და შეჰყვირა.

— უყურე, მამა, ეს—ლენინი და სტალინია!

საპირველმაისო დემონსტრაციაზე გუგუნებდა სიმღერა, ძლიერი, როგორც წყალუხვი განგი—ყველაზე დიდი მდინარე ინდოეთში.

და უცებ დემონსტრანტთა პირველ რიგში მოჰანმა თვალი მოჰკრა თავის უფროს მეგობარს.

— მანურატ! მანურატ!—სიხარულით შესძახა ბიჭმა.

მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა რაღაც მისთვის გაუგებარი ამბავი. ხალხი შეჩერდა, წინ კი გაიელვა ხიშტებმა და პოლიციელთა ჩაჩქნებმა.

იმავე წუთს პოლიციელები შეიჭრნენ დემონსტრანტთა რიგებში და დაუწყეს მათ ცემა კონდახებითა და ხელჯოხებით.

მოჰანმა დაინახა, როგორ სტაცა ხელი სამმა ახმახმა პოლიციელმა მანურატს და სადღაც წაიყვანა. ბიჭი შიშისაგან ერთ ადგილზე გაშეშდა, მაგრამ უცებ გაიგონა თავისი მეგობრის ხმა:

— ნუ გეშინია, მოჰან! ყველაფერი კარგად იქნება!

საღამოთი მოჰანმა მეზობლებისგან გაიგო, რომ ქარხნის ბევრი მუშა დაიჭირეს—მათ შორის მანურატიც.

— მანურატის ქოხს გაჩხრეკენ, წაიღებენ ყველაფერს, რაც აქვს,—თქვა ვილაცამ.

იმავე წუთში მოჰანმა ელვის სისწრაფით მოჰკურცხლა მეგობრის სახლისკენ.

ღარიბ ქოხში სიცარიელე და მარტოობა სუფევდა. ბავშვმა სწრაფად ჩამოხსნა კედლიდან ორი პორტრეტი. აკანკალებული ხელებით მიიკრა ისინი გულზე და უკანვე გაიქცა.

შინ დაბრუნებულმა სურათები შეინახა ფოთლების გროვის ქვეშ, რომელიც სასთუმლის მაგივრობას უწევდა.

მთელი ღამე ბავშვს თვალი არ მოუხუჭავს. ის მალიმალ ხელს ყოფდა სასთუმალქვეშ და თითებით სინჯავდა მისთვის ძვირფას სურათებს.

— მე მათ არავის დავანებებ,—ჩურჩულებდა მოჰანი.—არავის!..

თარგმნა **მერი კანდელაკმა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1953

## გ ი ლ ო ც ა ვ...

გილოცავ!
გილოცავ!
ახალ წელს გილოცავ,
შენ. ვისაც სამშობლო გიყვარს...
გელა ხარ!
თინა ხარ!
შოთა ხარ!
ცირა ხარ!
ეს სულერთია—ვინ ხარ.

ახალი წელია...
თოვლიც გვესალმება...
თოვლიც გვესალმება ციდან...
— ცრემლები?!
— ცრემლებზე ბოდიში!
— ღიმილი?!
— ღიმილი—რამდენიც გინდა...

ბავშვებო!
თქვენსავით მეც ვიყავ მოსწავლე...
მე დღესაც არ ვსწავლობ განა?!

ამიტომ ერთმანეთს,
ამიტომ ერთმანეთს,—
ვუსურვოთ ხუთებზე სწავლა...
გვიყვარდეს სამშობლო,
სიმართლე გვიყვარდეს,
გვიყვარდეს, გვიყვარდეს წიგნი...
ამ გზაზე გვითითებს,
ჩვენ ამ გზას გვინათებს
სტალინი—ბელადი დიდი.

გილოცავ!
გილოცავ!
ახალ წელს გილოცავ...
შენ. ვისაც სამშობლო გიყვარს...
ზაზა ხარ!
ლაშა ხარ!
ვაჟა ხარ!
ნინო ხარ!
ეს სულერთია, ვინ ხარ!

მუხრან მაჭავარიანი

## ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო

როცა ახალწლის დადგომამდე
წუთები რჩება,
მთელი ქვეყანა შეუპყრია
საამო ლოდინს...
ახალწელიწადს
მშობლიური მოსკოვი ხვდება,
ახალი წელი
კურანტების ნაბიჯით მოდის.

წითელ მოედანს გამოივლის,
დადგება კრემლში,
რომ ნახოს ბრძენი,
ვინც მზიანი ცხოვრება შექმნა,

რომ მოემატოს ვაჟკაცობა,
ძალა და ეშხი,
და ხალხთა მამის დალოცვილმა
იაროს ქვეყნად.

მოდის და ხვდება
სასახლეთა აელვარება,
გამარჯვებული ხალხის ვაშა
და სადღეგრძელო...
ხალხთა მშვიდობა განამტკიცო,
შენ გევალება!
ბედნიერება,
სიხარული, ახალო წელო!

ნოდარ გურეშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. გ. თოთიბაძისა

მიხეილ კეკელიძე

# შამათი სამ სვლაში

როდესაც პირველ ვაჟთა საშუალო სკოლაში ნორჩ მოჭადრაკეთა წრე ჩამოყალიბდა, ნიკო ვარდოსანიძის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ჭადრაკის თამაში მან მეექვსე კლასში ყოფნის დროს ისწავლა და მეცხრე კლასამდე ისე მიაღწია, რომ თითქმის ყოველდღე რომელიმე ამხანაგთან ორ-სამ პარტიას სიამოვნებით თამაშობდა. პირველ ხანებში საჭადრაკო დაფის სამოცდაოთხი უჯრის დანახვაზე თვალი უჭრელდებოდა. სვლები მალე ისწავლა, მაგრამ მხედარმა მაინც გაუჭირვა საქმე. მხედარს, რომელიც სინამდვილეში ცხენს წარმოადგენდა, თავი წინ ჰქონდა მიღერებული, სვლას კი უკულმართად აკეთებდა; ორი პირდაპირ გამოთვლილი უჯრის შემდეგ ან მარჯვნივ უჯრაზე უნდა დასკუპებულიყო, ან მარცხნივ. ადვილი როდი იყო მისი დამორჩილება და ისე გამოყენება, რომ მოწინააღმდეგისათვის გზა გადაეჭრა და გულდაგულ შებმოდა, საგონებელში ჩაეგდო და პაიკი მაინც მოეგო. პირიქით ამ ცხენისაგან ის ყოველთვის დიდ გასაჭირში ვარდებოდა. აი გამოცდილი მოწინააღმდეგე ასკუპებდა თავის ცხენს და ნიკო ვარდოსანიძის მეფეს ქიშს გამოუცხადებდა. სანამ ნიკო მხდალ მეფეს უშიშარ უჯრაზე გადაიყვანდა, მოწინააღმდეგე ღიმილით ეტყოდა:

— პარტია წაგებული გაქვს, თუ გინდა ახალი დავიწყოთ!

— როგორ?

— როგორ და აი, ასე. ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო, ნათქვამია. მე კი საჩუქრად ეტლი ამყავს.

ამ სიტყვებზე გულგრილად აიყვანდა ნიკოს ეტლს და მის ადგილას თავის შეჯავშნულ ცხენს დააბრძანებდა.

დალახვროს ეშმაკმა! — ფიქრობდა გულში ნიკო და გაბრაზებული ისეთ მოუფიქრებელ სვლას გააკეთებდა, რომ პარტიას მართლაც მალე აგებდა.

მაგრამ პირველ მარცხთა შემდეგ საკმაო დრომ განვლო. ჭადრაკის თამაშში ნიკო ისე დახელოვნდა, რომ არა თუ მეცხრე კლასში, არამედ მთელ სკოლაში ის ერთ-ერთ საუკეთესო მოჭადრაკედ ითვლებოდა. სამწუხაროდ, თეორია არ იცოდა. ამის გამო ხანდახან ისეთ უხეშ შეცდომას უშვებდა, რომ ყველას აკვირვებდა. ნიკო კი თავს იმართლებდა, დაღლილი ვიყავიო. მართალია, დაღლილობა ძალიან ცუდად მოქმედებს ჭადრაკის თამაშის ხარისხზე, მაგრამ ყოველთვის ეს როდი იყო ნიკოს მარცხის მიზეზი. გამარჯვების შემთხვევაში ნიკოს თვალები გაუბრწყინდებოდა და ამბობდა:

— ჩემი ხელობა მოგებაა. თეორია როსტომ წერეთელმაც არ იცოდა, მაგრამ თითქმის ყოველთვის იგებდა. შემდეგი! ვის სურს ჩემთან თამაში?

ხშირად ჭადრაკის თამაში ისე გაიტაცებდა რომ რვა-ცხრა პარტიას თამაშობდა. ზოგს იგებდა, ზოგს აგებდა და სახლში დაღლილი, მეტისმეტად დაქანცული მიდიოდა. ეს კიდევ არაფერი, უბედურება ის იყო, რომ სადილის ჭამის დროს, გაკვეთილების მომზადებისას და ლოგინშიც კი ჭადრაკის დაფა და ფიგურები ელანდებოდა. აგერ კუ ცენტრში გადაიყვანა, პაიკით გაამაგრა და ისეთი მოხერხებული პოზიცია დაიკავა, რომ მოწინააღმდეგის მეფეს როქის საშუალებას არ აძლევს, თან ლაზიერი მეფის ფრთაზე გადაჰყავს და იერიშს ამზადებს. რა მოსაგები მდგომარეობა ჰქონდა გოგისთან! პაიკი მეშვიდე ჰორიზონტალზე ჰყავს. მხოლოდ ერთი სვლა, ერთი სვლა უნდა გააკეთოს და ლაზიერს გააცოცხლებს! მაგრამ საიდან მოიფიქრა გოგიმ ასეთი უცნაური საპასუხო სვლა! პაიკში ეტლი მისცა და კუ და ორი პაიკი ისე გადააბა ერთმანეთს, რომ ნიკომ აღარ იცის მოწინააღმდეგის პაიკები შეამაგროს, რომლებიც წინ მოიწევენ, თუ თავის განმარტოებით მყოფ სამ პაიკს მიეშველოს და ისევ წინ გასწიოს... ამგვარი ფიქრებით გართულს ჩაეძინებოდა და რაღა დასამალია, სიზმარშიც ხშირად ნახულობდა, თუ როგორ ეთამაშებოდა ჭადრაკს რომელიმე ამხანაგს. მათ შორის ყველაზე უცნაური და კერპი იყო ბარნაბ პურადაშვილი. მეფის მეტი რომ არაფერი დარჩენოდა დაფაზე, ბარნაბი მაინც განაგრძობდა შეუპოვარ ბრძოლას, დაატარებდა მეფეს ერთი უჯრიდან მეორეზე, თუ მოახერხებდა სამოცდაოთხივე უჯრას შემოივლიდა, სანამ ბოლოს სადმე მეფეს არ მიამწყვდევდნენ და არ დააშა-

მათებდნენ. სკოლაში გაუთავებელი კამათი იყო, თუ ვინ უკეთ თამაშობდა და რა სტილის მოთამაშე იყო, ზოგზე ამბობდნენ კომბინაციური მოთამაშეაო, ზოგზეც პოზიციურიო, მაგრამ სინამდვილეში მათი თამაშის სტილის დადგენა ყოვლად შეუძლებელი იყო, ამიტომაც ყველას დიდი სიხარული მოჰგვარა სკოლაში ნორჩ მოჭადრაკეთა წრის ჩამოყალიბებამ. ამ წრეს სათავეში ოსტატობის კანდიდატი გრიგოლ ბერიშვილი ჩაუდგა. აი, ახლა გამოჩნდებოდა ვინ რა ბიჭი იყო!

ბერიშვილმა პირველ ხანებში კვირაში ორჯერ მოაწყო მეცადინეობა. პირველ მეცადინეობაზე მას აინტერესებდა გაეგო, თუ როგორ თამაშობდნენ მოსწავლეები, რამდენად დაუფლებული იყვნენ თამაშის წესებს. ამიტომაც, როდესაც ათი წყვილი მოჭადრაკე ერთიმეორეს შეება, ის მხოლოდ მაყურებლის როლით დაკმაყოფილდა და თავისი ჩარევითა და შენიშვნებით თამაშის ჩვეულებრივი მიმდინარეობა არ დაურღვევია.

არ გასულა ათი წუთიც, რომ გივი და ბარნაბი ცხარედ წალაპარაკდნენ.

— ოჰ, ეს რა თამაშია, სვლას ვიბრუნებ, ჯერ ხომ ფიგურისათვის ხელი არ გამიშვია, თამაში მაცალე, ძალადობა ხომ არ არის! — ამბობდა ბარნაბი და თეთრ კუს ხელს არ უშვებდა, რომელიც ისეთ ადგილას დაედო მოუფიქრებელი სვლით, რომ გივის საჩუქრად აჩუქა. დიდი კამათის შემდეგ გივი დაეთანხმა და ბარნაბს სხვა სვლის გაკეთების საშუალება მისცა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ახლა გივის ხმა გაისმა:

— მე ხომ დაგიბრუნე წეღან ფიგურა?! ახლა არც მე ვაკეთებ ამ სვლას, სხვას ვითამაშებ!

მაგრამ თვალებგაბრწყინებულ ბარნაბს მხედრისათვის ხელი მაგრად ჩაევლო, მოწინააღმდეგეს არ ანებებდა და ამბობდა:

— ბიჭოს! არ გიბრუნებ და ძალა ხარ? მე სულაც არ მითხოვია შენთვის დაბრუნება.

გრიგოლ ბერიშვილი და ფიზიკის მასწავლებელი აბესალომ ქებაძე, რომლებიც ამ დავას ისმენდნენ, სიცილისაგან თავს ძლივს იკავებდნენ.

ოთახის მარჯვენა კუთხეში მიმსხდარიყვნენ შოთა და დიმიტრი და წყნარად თამაშობდნენ. მაგრამ ორმოცი წუთის შემდეგ შოთა უცებ სკამიდან წამოხტა და აღელვებით მიმართა მის კარგ მეგობარს:

— რა გიკვირს, ბიჭო, შემთხვევით წავაგე. გუშინწინ, გახსოვს, სამი ხელი ზედიზედ რომ მოგიგე?

— არაფერიც! ბოლო ორ პარტიას არა ვთვლი, ქვეყანა გასწავლიდა და ისე თამაშობდი!

გრიგოლ ბერიშვილისათვის ყველაფერი ნათელი იყო: მან მოჭადრაკეები ორ ჯგუფად გაჰყო, პირველში თორმეტი მოსწავლე შედიოდა, ესენი უფრო ძლიერები იყვნენ, მეორე ჯგუფი კი, რამდენიმე მოსწავლის დამატების შემდეგ, თოთხმეტ წევრს ითვლიდა და მათთან ცალ-ცალკე მეცადინეობა დაიწყო.

პირველ რიგში ბერიშვილმა მოსწავლე მოჭადრაკეებს აუხსნა, რომ ჭადრაკის თამაშის დროს არავითარი „მაცალე“ და „დაგიბრუნე-დამიბრუნე“ არ არსებობს. სვლა კეთდება იმ ფიგურით თუ პაიკით, რომელსაც ხელი მოჰკიდე. ამიტომ რაიმე არასასიამოვნო სიურპრიზი რომ არ მოხდეს, ყოველთვის ჯობია, ჯერ მოფიქრება და შემდეგ სვლის გაკეთება. თამაშის დროს ლაპარაკი და ხმაურობა დაუშვებელია. დაუშვებელია აგრეთვე სხვა პირების ჩარევა თამაშში და შენიშვნების გამოთქმა, თუ რომელი სვლის გაკეთება აჯობებდა პირველად ადვილი როდი იყო, რომ მოსწავლე მოჭადრაკეები ამ წესებს მაშინვე შეჩვეოდნენ, მაგრამ ოთხი თვის მეცადინეობის შემდეგ გრიგოლ ბერიშვილს კმაყოფილებით შეეძლო აღენიშნა, რომ ახალგაზრდებმა წარმატებას მიაღწიეს. მათ უკვე წესებიც კარგად იცოდნენ და დისციპლინასაც შეეჩვივნენ. შეისწავლეს აგრეთვე რუსული, ესპანური და სიცილიური პარტიები, ჩიგორინის დებიუტი და ევანსის გამბიტი, ალტაცებაში მოვიდნენ ცნობილი ქართველი მოჭადრაკის — ანდრია დადიანის რამდენიმე პარტიის გარჩევით და სიხარულით ელოდნენ სკოლის პირველობაზე განზრახული ტურნირის მოწყობას, რომელიც იანვრის არდადეგებზე უნდა ჩატარებულიყო.

ნიკო ვარდოსანიძე ამ ტურნირისათვის საგანგებოდ ემზადებოდა. ემანუილ ლასკერის ჭადრაკის სახელმძღვანელოც კი შეიძინა და მონდომებით მეცადინეობდა. არც ტყუილად ჩაუვლია მისთვის შრომას. ტურნირის ბოლოს, როდესაც ცხრილში ქულები შეაჯამეს, ნიკო პირველ ადგილზე გამოვიდა: თერთმეტი შესაძლებელიდან ცხრანახევარი ქულა მოაგროვა; ცხრა სუფთა მოგება ჰქონდა, ერთი ყაიმი და ერთიც წაგება. წაგება — ბარნაბ პურადაშვილთან, — მარტო მეფითაც რომ იცოდა ხოლმე თავგამოდებული ბრძოლა. ნიკო წიგნებით დააჯილდოვეს და შემდეგი წარმატებები უსურვეს. გრიგოლ ბერიშვილი მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და ეუბნებოდა:

— მომავალი წლის იანვარში მოსწავლეთა საქალაქო პირველობა ეწყობა ჭადრაკში. მე შენი იმედი მაქვს, საქმეს სერიოზულად უნდა მოეკიდო და ტურნირისათვის მოემზადო.

ნიკო ისე გაიტაცა ჭადრაკმა, რომ საზღვარს ველარ უდებდა თამაშს. მას დაავიწყდა გრიგოლ ბერიშვილის გაფრთხილება, რომ განუწყვეტლივ ოთხი-ხუთი საათის განმავლობაში თამაში ხელს კი არ უწყობს ჭადრაკში დაოსტატებას, არამედ უარეს მდგომარეობასაც იწვევს; გონებრივად მოქანცული კაცი აკეთებს სუსტ, მოუფიქრებელ სვლებს, თამაშობს მექანიკურად და არავითარი ნაყოფი მოჭადრაკის ზრდისათვის მას არ მოაქვს. ვარდოსანიძე კი ჭამდა თუ არა საჭმელს, ხან თავის სახლში, ხანაც რომელიმე მეგობრის ბინაში, პირდაპირ ჭადრაკის თამაშს შეუდგებოდა. თამაშობდა აღგზნებით, განერვიულებული, ფიზიკურ დაღლილობამდე. ასეთი თამაში რამდენჯერ გაგრძელებულა ღამის პირველ, ორ საათამდე, ზოგჯერ სამამდეც. გაჯავრებული და შეწუხებული მშობლები მას ხშირად ეუბნებოდნენ:

— ნიკო, ყველაფერს თავისი დრო აქვს. გაკვეთილებს მომზადება არ უნდა?

— მე ვასწრებ გაკვეთილების მომზადებასაც და თამაშსაც.

— ჩვენ გიკრძალავთ ასეთ თამაშს. ეს თამაში სიამოვნების ნაცვლად შენ ავადმყოფობად გადაგექცა. ჩვენ ვეტყვით სკოლის დირექტორს, კლასის ხელმძღვანელს და ჭადრაკის წრის ხელმძღვანელსაც, რომ წრიდან გამოგრიცხონ. მათ რომ შენი ამბავი იცოდნენ, არც ერთი არ მოგიწონებს ასეთ საქციელს. ითამაშე წესიერად და ნორმალურად, გაკვეთილები თავის დროზე მოამზადე.

ნიკომ პირობა დადო, რომ ის დღეში, ხან მარტო ორ დღეში ერთხელ, ჭადრაკს მხოლოდ საათნახევარს დაუთმობდა და ამით მშობლებთან საქმე მოაგვარა. ჩუმად კი საქალაქო პირველობის ტურნირისათვის თავისებურ მზადებას განაგრძობდა. წყვეტდა ლამაზ ამოცანებს: შამათი ორ სვლაში, შამათი სამ სვლაში, თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს...

მაგრამ გრიგოლ ბერიშვილმა ნიკო ვარდოსანიძეს წრის



მეცადინეობებზე ერთი უცნაურობა შეამჩნია: ნიკოს სწრაფად ეტყობოდა დაღლილობა და პარტიის დასკვნით ნაწილს მთელი შესაძლებლობით ვერ თამაშობდა, თითქმის მოგებულ პარტიას უხეში სვლით აგებდა.

გრიგოლ ბერიშვილს ამის მიზეზი არ გამოპარვია და ნიკოს მკაცრად უთხრა:

— შენ, როგორც ჩანს, ჩემს დარიგებას ყურადღებას არ აქცევ. არ დავფარავ და პირდაპირ გეტყვი: კარგი ყმაწვილი ხარ. შენგან სავსებით მოსალოდნელია, რომ ძალიან ნიჭიერი მოჭადრაკეც დადგეს, შეიძლება გროსმაისტერიც კი გახდე ოდესმე, მაგრამ იმ გზით, რომელიც შენ აგირჩევია, ვერაფერს მიაღწევ, მეორე კატეგორიის მოჭადრაკეც კი ვერ გახდები. ტყუილად გგონია, რომ დღედაღამ ჭადრაკის თამაში შენ უცებ პირველხარისხოვან მოჭადრაკედ გაგხდის. არა, ჩემო კარგო! მართალია, პრაქტიკას და წვრთნას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ნორმალურად წარმოებს. მერე, ნუ გავიწყდება ისიც, რომ შენ მოსწავლე ხარ. წრეში მეცადინეობა სწავლას ხელს როდი უშლის, პირიქით, მას უფრო სახალისოს და მიმზიდველს ხდის, შენი მდგომარეობა კი მაფიქრებს.

— მე არაფერში ჩამოვრჩები, პატივცემულო ხელმძღვანელო! — უპასუხა მას ვარდოსანიძემ, მაგრამ ეს იმედი არ გამართლებულა. მესამე მეოთხედში საერთოდ კარგმა მოსწავლე ნიკო ვარდოსანიძემ გეომეტრიაში პირველი „ორიანი“ მიიღო. შეწუხებულმა კლასის ხელმძღვანელმა ეს ამბავი მაშინვე ყმაწვილის მშობლებს აცნობა, ნიკოსაც ბევრი ელაპარაკა და გრიგოლ ბერიშვილსაც ეთათბირა. მიუხედავად ამისა მეოთხე მეოთხედში ნიკომ იმავე საგანში კიდევ მიიღო „ორიანი“. საქმე სახუმარო აღარ იყო! ვარდოსანიძემ სულ მიატოვა ჭადრაკის თამაში, წრეში სიარულსაც დროებით თავი დაანება და იერიშით ცდილობდა ცოდნაში არსებული ხარვეზის შევსებას. მაგრამ ეს ადვილი როდი შეიქნა. ისეთი საკითხები წამოიჭრა, რომ სხვის დაუხმარებლად მათში უკვე ველარ ერკვეოდა. თუმცა ამხანაგები გულწრფელად ეხმარებოდნენ, მასწავლებელიც ბევრ რამეს განმეორებით უხსნიდა, მაგრამ ახლა დრო აღარ ჰყოფნიდა მასალის საფუძვლიანად და ღრმად შესასწავლად. საჭადრაკო ენაზე რომ ვთქვათ, სწორედ ამას ჰქვია „ცაიტნოტში“ ჩავარდნა. მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ვარდოსანიძე თავს მომზადებულად არ თვლიდა, მაინც იმედი მთლად არ დაჰკარგვია. ხომ შესაძლებელი იყო გამოცდებზე ისეთი კითხვები შეხვედროდა, რომლებზედაც ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელ პასუხს გასცემდა! ოღონდ ახლა გადარჩეს და შემდეგ ხომ ასეთ მიუტევებელ შეცდომებს არასოდეს არ ჩაიდენს. ხომ შეიძლებოდა ჭადრაკიც ეთამაშნა და გაკვეთილებიც წესიერად მოემზადებინა!

— ჰაი, ბედო და იღბალო, აბა ფონს თუ გამიყვანო! — ფიქრობდა ნიკო და გამოურკვევლობის ბურუსში იყო.

* * *

საგნის მასწავლებელი და ასისტენტი სამასწავლებლო მაგიდას უსხდნენ. გამოცდები მკაცრად, მაგრამ სამართლიანად ტარდებოდა. ჯერჯერობით, თუ ვანოს წაფორხილებას არ მივიღებთ მხედველობაში, კარგი ნიშნები იწერებოდა, ნიკო ვარდოსანიძე ყურდაცქვეტილი და თვალებგაფართოებული ისმენდა ამხანაგების პასუხს და გულისტკივილით ამჩნევდა, რომ ზოგიერთი საკითხი მისთვის სრულიად უცნობი იყო. უცნობი კი არა, გაგონილი ჰქონდა, მაგრამ თავის დროზე საფუძვლიანად რომ არ შეისწავლა, ახლა მათ შესახებ არაფერი იცოდა. ნიკო მოუსვენრად იჯდა თავის მერხზე და გამოძახებას ელოდებოდა, თუმცა ამჟამად მას თავისი ბედიღბლის იმედი ძალიან ნაკლებად ჰქონდა.

აი, მისი რიგიც მოვიდა. წინა მერხზე გადმოიყვანეს და მაგიდაზე გაშლილი საგამოცდო ბილეთის არჩევის საშუალება მისცეს. მეათე ნომერი ბილეთი შეხვდა. დაჯდა და მოფიქრება დაიწყო. პირველად, თითქოს, ბილეთში აღნიშნული სამი კითხვა არც ისე ძნელი ეჩვენა: „1. თეორემა მსგავსი მრავალკუთხედის მსგავს სამკუთხედებად დაშლის შესახებ. 2. მოცემულ BAC სამკუთხედში ჩავხაზოთ მოცემული მახვილი კუთხის მქონე რომბი ისე, რომ მისი ერთ-ერთი გვერდი ABC სამკუთხედის AB ფუძეზე მდებარეობდეს, ხოლო ორი წვერო — AC და BC ფერდებზე. 3. ამოცანა — გეომეტრიის ამოცანათა კრებულიდან“. რვა-ათი წუთის შემდეგ ვარდოსანიძე დაფასთან იდგა, ცარცი ხელში ეჭირა და პასუხს იძლეოდა. პირველად კარგად დაიწყო, მაგრამ შემდეგ ენა დაება და გაჩერდა. რამდენიმე წუთის შემდეგ როგორც იქნა ბორძიკით განაგრძო, მაგრამ ნიკო თვითონაც ვერ უწევდა ანგარიშს რას და როგორ ამბობდა, სწორი იყო თუ არა. მასწავლებლის ოდნავ მოღუშული შუბლის დანახვაზე ნიკო ატყობდა, რომ მისი პასუხით კმაყოფილი არ იყვნენ.

— ვარდოსანიძე! — თქვა მასწავლებელმა, — კარგად დაიწყეთ, მაგრამ ძალიან ცუდად დაამთავრეთ! — თან აუხსნა, თუ სად მოუვიდა უხეში შეცდომები. — გადადით შემდეგ კითხვაზე.

ნიკო ჩასცქეროდა ბილეთს და ფიქრობს:

— ჩემი პასუხი ძალიან სუსტი იყო. ასეთ პასუხს ჭადრაკში სუსტი სვლა ეწოდება.

ისეთივე სუსტი სვლა განმეორდა მეორე კითხვაზეც, ხოლო მესამეზე — ნიკომ არაფერი უპასუხა, პარტია დასთმო. ეს იყო შამათი სამ სვლაში!

* * *

მოსწავლეებისათვის საბოლოო ნიშნები ჯერ კიდევ არ გამოეცხადებინათ, მაგრამ სკოლაში ყველამ იცოდა, რომ ნი-

კო ვარდოსანიძეს გეომეტრიაში საშემოდგომო გამოცდა გამოჰყვა. ეს ამბავი ყველას ეწყინა; ეწყინა სკოლის დირექტორს, მასწავლებლებს, კლასის ხელმძღვანელს, ნიკოს ამხანაგებს და განსაკუთრებით გრიგოლ ბერიშვილს.

მოსწავლეთა არდადეგებზე გასტუმრებამდე სამი დღით ადრე სკოლის დირექტორმა ვარდოსანიძე ცალკე გამოიძახა და უთხრა:

— მე შენი ნიშნები გადავათვალიერე და ძალიან ნაწყენი დავრჩი. ბევრ საგანში „ხუთის" ნაცვლად „ოთხი" მიგიღია. „ოთხის" ნაცვლად „სამი". ეს კიდევ რა ამბავია გეომეტრიაში, „ორი?"

ნიკოს ცრემლი მოერია:

— ჭადრაკის თამაშმა დამღუპა! მე არასდროს არ ვითამაშებ ჭადრაკს.

— ვითომ? — შეეკითხა დირექტორი.

ამ დროს მის კაბინეტში შევიდა ოსტატობის კანდიდატი გრიგოლ ბერიშვილი, რომელიც ახალგაზრდებს თითქმის ცხრა თვის განმავლობაში ხალისიანად ამეცადინებდა ამ საყვარელ და მეტისმეტად საინტერესო თამაშობაში.



დირექტორმა ოთახში გაიარ-გამოიარა და ღიმილით თქვა:

— ჩემო გრიგოლ, იცით, ეს ყმაწვილი რას ამბობს? მე ჭადრაკის თამაშმა დამღუპა, მომავალში ჭადრაკს სრულიად აღარ ვითამაშებო.

გრიგოლ ბერიშვილს გულკეთილად გაეღიმა და უპასუხა:

— დაღუპვა რა შუაშია. ნიკომ მხოლოდ მაგრად წაიფორხილა და ამის გამოსწორება შეიძლება. აქ ჭადრაკიც არაფერ შუაშია. ვარდოსანიძეს ნებისყოფამ უმტყუნა, ცოტა წარმატებებმაც გაათამამა და გაიფიქრა ერთი დაკვრით გროსმაისტერი გამხდარიყო. გროსმაისტერობა ცუდი როდია, მაგრამ ის გზა, რომლითაც ის ცდილობდა ამის მიღწევას, უვარგისი იყო. ბევრჯერ ვურჩიეთ ზომიერად ეთამაშნა. გვეუბნებოდა, თქვენს დარიგებას ზუსტად ვასრულებო, სინამდვილეში კი უსისტემოდ და წრეგადასულად თამაშობდა თურმე ამხანაგებში. ეს კიდევ არაფერი. მას ვითომდა ჭადრაკის სიყვარულით გაკვეთილების სერიოზულ მომზადებაზეც ხელი აუღია, ამის შესახებაც გააფრთხილეს. მაგრამ, სამწუხაროდ, გაფრთხილებას შედეგი არ მოჰყოლია, თორემ გამოცდებზე არ შერცხვებოდა.

— სავსებით სწორია, — დაეთანხმა დირექტორი და ნიკოს მიუბრუნდა:

— შენ ირაკლი ჩიტიძეზე უკეთესი ბიჭი ხარ?

ვარდოსანიძემ სწრაფად უპასუხა:

— მე არასოდეს არ მითქვამს, რომ ვინმეზე უკეთესი ვარ, პატივცემულო დირექტორო!

— არ გითქვამს, მაგრამ შენი წელანდელი ლაპარაკით ეგრე გამოდის. აბა, საქმე გულდაგულ გავსინჯოთ. შენც საჭადრაკო წრეში ხარ და ირაკლი ჩიტიძეც, კიდევ ოცამდე თქვენი ამხანაგი. ირაკლი ტურნირზე შენ მხოლოდ ერთი ქულით ჩამოგრჩა და მეორე ადგილზე გამოვიდა. რატომ ის არ დაღუპა ჭადრაკმა? გამოცდებზე საუკეთესო ნიშნები მიიღო, იმიტომ, რომ სისტემატურად მეცადინეობდა, გაკვეთილებს ყოველთვის კეთილსინდისიერად ამზადებდა და, რამდენადაც ვიცი, ჭადრაკსაც თამაშობდა. არა, ჩემო კარგო, ტყუილად ფიქრობ, თითქოს წრეები მეცადინეობას და ცოდნის შეძენას ხელს უშლიდეს, ეგ კი არა, პირიქით, მეტ ხალისს ჰმატებს ყველას სწავლაში. რას ფიქრობ ახლა? — შეეკითხა ის ნიკოს.

მოსწავლის ნაცვლად ბერიშვილმა გასცა პასუხი:

— ისწავლის. ამ ზაფხულში ისე მოემზადება, რომ საშემოდგომო გამოცდა წარმატებით ჩააბაროს. ჭადრაკსაც ითამაშებს და საქალაქო პირველობაშიც მონაწილეობას მიიღებს. ამისათვის მხოლოდ დღის რეჟიმის ზუსტად დაცვაა საჭირო.

— რასაკვირველია, ასე იზამს ნიკო, კიდეც ისწავლის და კიდეც ითამაშებს. — დაადასტურა დირექტორმაც და უშუალოდ ვარდოსანიძეს მიმართა: — ახლა წადი. რაც მოხდა, სამწუხაროა, მაგრამ საქმის გამოსწორება შეიძლება. რაც გითხარით, უყოყმანოდ შეასრულე.

ვარდოსანიძე თავჩაქინდრული იდგა და შემდეგ ხმაამოუღებლად გავიდა სკოლის დირექტორის კაბინეტიდან.

* * *

გაუუგემურდა ზაფხული ნიკოს. ბორჯომში ბევრჯერ გაუტარებია არდადეგები, მაგრამ ასეთი გულდაწყვეტილი არასოდეს ყოფილა. ბორჯომის ხეობის თვალწარმტაცი ბუნება, ფიჭვნარით დაფარული მთები, წყაროების ჩუხჩუხი, მტკვრის დუდუნი და ჩიტების ფრთხიალი მისთვის თითქმის არ არსებობდა. ერთი კვირის განმავლობაში ის ისე უხალისოდ იყო, რომ წინათ აქ გაცნობილ ამხანაგებსაც არ გაჰკარებია, გასეირნებაშიც არ მიუღია მონაწილეობა და არც ნაკრძალის დასათვალიერებლად წასულა.

დილით ადრე ადგებოდა, ფიზკულტურულ ვარჯიშს ჩაატარებდა, ისაუზმებდა და ცოტაოდენი დასვენების შემდეგ, ფხიზელი გონებით მონდომებულად მეცადინეობდა. მაგრად მოჰკიდა ხელი არა მარტო გეომეტრიას, არამედ სხვა საგნებსაც და ცოდნას იღრმავებდა. შემდეგ ამხანაგებში გაერეოდა, მათთან ერთად მტკვარშიც ბანაობდა და ტყეშიც ხშირად დადიოდა სასეირნოდ. ნასადილევს ისევ მეცადინეობდა და საღამო ხანს მოაგარაკეებთან ჭადრაკსაც თამაშობდა. თავის დროზე იძინებდა ფანჯრებგაღებულ ოთახში და დილით ხალისიანი და ძალამომატებული იღვიძებდა. ასე გრძელდებოდა სისტემატურად. ერთხელაც არ დაურღვევია ეს წესი. და ვარდოსანიძე ატყობდა, რომ ყოველდღიურად წინ მიიწევდა. მაინც ვერ ენდო თავისთავს და დედას გაუტყდა:

— მართალია, პირველად უარი გითხარი: მასწავლებელი არ მინდა, ჩემს შეცდომას მე თვითონ გამოვასწორებ მეთქი, მაგრამ ვფიქრობ, ჩემი ცოდნის ერთგვარად შემოწმებისათვის, მასწავლებელთან მეცადინეობა მაინც კარგი იქნება.

დედა დაეთანხმა ბავშვს და უთხრა ვეცდები ორ-სამ დღე-

ში აუცილებლად რომელიმე კარგი მასწავლებელი მოენახოთ.

მაგრამ ეს საქმე სრულიად მოულოდნელად სხვაგვარად მოგვარდა. მოაგარაკეთა შორის იმყოფებოდა ფიზიკა-მათემატიკის მეოთხე კურსის სტუდენტი რევაზ გიშერიშვილი. გატაცებული მოჭადრაკე იყო. გიშერიშვილთან ნიკოს რამდენიმე პარტია ჰქონდა ნათამაშევი და სტუდენტი განსაკუთრებით მას შემდეგ მოიხიბლა, რაც ნიკომ ერთი უცნობი ავტორის სამსვლიანი ამოცანა გონებამახვილურად ამოხსნა. ერთ საღამოს, როცა ვარდოსანიძე რევაზს საჭადრაკო პარტიას ეთამაშებოდა, ნიკო ძალიან ჩქარობდა, წასვლას ეშურებოდა და ამის გამო უგულოდ თამაშობდა

— რა დაგემართა შენ დღეს, ნიკო, ავად ხომ არა ხარ? — შეეკითხა მას რევაზი.

— არა, უკვე დროა წასვლის, რეჟიმს ვიცავ.

— რა რეჟიმს? — კვლავ შეეკითხა მას რევაზი, თამაში შეწყვიტა და ყმაწვილს ცნობისმოყვარეობით დაუწყო ცქერა.

— დასვენებისა და მეცადინეობის რეჟიმს.

— ეს ცუდი როდია. მაგრამ რა დაშავდება, ნახევარი საათი რომ კიდევ დარჩე ამ სუფთა ჰაერზე?

ბარემაც არაფერი დაშავდება, მაგრამ აგვისტოში მას აღარ უნდა კვლავ მიიღოს შამათი სამ სვლაში, ნიკო სახეზე წამოწითლდა და პასუხი არ გასცა.

— რა გულჩახვეული ვინმე ყოფილხარ! — წყენით თქვა რევაზმა.

გულჩახვეულიო? ეს სიტყვა სრულებით არ მოეწონა ნიკოს. მას სხვაც ეჯავრება გულჩახვეული და თავის თავში ჩაკეტილი. ახლა თვითონ ის გამოიყვანეს გულჩახვეულად! ნიკო მაშინვე რევაზის გვერდით დაჯდა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

— მერე, ბიჭო, აქამდე ვერა თქვი, რაც გაწუხებდა? მართალია, მე ჯერ მასწავლებელი არა ვარ, მაგრამ დახმარების გაწევა მაინც შემიძლია. თუ თანახმა ხარ, იარე ჩემთან ყოველ დღე, ორ-ორი საათი ვიმეცადინოთ და ვნახოთ რა გამოგივა, მე მგონია არაფერს წააგებ.

ნიკო ვარდოსანიძე ამ საუბრით უსაზღვროდ კმაყოფილი იყო. ის მაშინვე დაეთანხმა რევაზს და მეორე დღიდანვე მასთან მეცადინეობა დაიწყო. სამი კვირის შემდეგ გიშერიშვილი ნიკოს ხუმრობით ეუბნებოდა:

— შენ, ჩემო კარგო, ახლა სხვას შეგიძლია ასწავლო ეს საგანი. იქნება გამოცდაზე პირველი კითხვის შემდეგვე დაგანებონ თავი და გითხრან, ჩვენ უკვე კმაყოფილი ვართო.

* * *

აგვისტოში, საშემოდგომო გამოცდები როდესაც დაიწყო, გამომცდელი მასწავლებელი და ასისტენტი მართლაც მეტად კმაყოფილი დარჩნენ ნიკოს მომზადებით. მხოლოდ არ გამართლდა გიშერიშვილის ხუმრობა — შეიძლება პირველივე კითხვის შემდეგ დაგანებონ თავიო. პირიქით, სამივე კითხვა მისცეს, პასუხს გულდასმით უსმენდნენ. ამასაც არ დასჯერდნენ და დამატებითი კითხვებიც მისცეს. სადავო და გაურკვეველი აღარაფერი იყო, ვარდოსანიძეს დამსახურებულად „ხუთი" დაუწერეს.

* * *

სწავლა დიდი ხნის დაწყებული იყო. პირველმა და მეორე მეოთხედმა ნაყოფიერად გაიარა და ამიტომაც ახალი წლის საზეიმო დღეებს ყველა მხიარულად შეხვდა. შემდეგ ისევე ჩვეულებრივი მეცადინეობა დაიწყო. 28 იანვარს სკოლის დირექტორი სასწავლებელში ძალიან კარგ ხასიათზე მოვიდა. მაშინვე ნიკო ვარდოსანიძეს გამოუძახა, კაბინეტში შეიყვანა და წინ ახალი გაზეთის ნომერი დაუდო.

— აბა, წაიკითხე ეს ადგილი!

ნიკომ წაიკითხა: „ორი კვირის განმავლობაში მასწავლებლის სახლის კლუბში მიმდინარეობდა საუკეთესო მოსწავლე მოჭადრაკეების ტურნირი ქალაქის პირველობაზე. დაძაბული ბრძოლის შემდეგ პირველი ადგილი და ჩემპიონის სახელი მოიპოვა მერვე ვაჟთა საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე თენგიზ გულაძემ; მეორე ადგილი დაიკავა ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ნიკო ვარდოსანიძემ, რომელმაც ყველა პარტია თანაბარი სიძლიერით ჩაატარა და ჩემპიონს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა; მესამე ადგილზე გამოვიდა რკინიგზის მეორე საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე ვასო ჯობაძე".

— აი, ხომ ხედავ. — უთხრა დირექტორმა ვარდოსანიძეს, — შენ ყველა საგანში „ხუთები" და „ოთხები" გაქვს და ჭადრაკშიც თავი ისახელე, სკოლაც ასახელე, კარგი ბიჭი ხარ!

ნიკო გაწითლდა და ოდნავ გასაგონად თქვა:

— ეს ჩემი სიყოჩაღე კი არა, თქვენი და ჩვენი საჭადრაკო წრის ხელმძღვანელის. გრიგოლ ბერიშვილის დამსახურებაა. მე თქვენ გულდასმით გისმენდით და ყველა მითითებას ზუსტად ვასრულებდი.

— მერე ჭადრაკი სწავლაში ხელს არ გიშლიდა? აბა თქვი ერთხელ, ჭადრაკმა დამღუპაო!

— არა, პატივცემულო დირექტორო, მე ვცდებოდი. ჭადრაკი და სწავლა ერთმანეთს ხელს არ უშლიან.

გაკვეთილების შემდეგ, როდესაც გაზეთში წაკითხული ცნობით გახარებული ნიკო სახლში ბრუნდებოდა, ფიქრობდა: „დიახ, მართალია — ჭადრაკი და სწავლა ერთმანეთს ხელს არ უშლიან. ოღონდ ორგანიზებაა საჭირო... დროის განაწილება. მე თვითონ ყოველთვის ვეცდები, და სხვასაც ვურჩევ, რომ გამოცდებზე მოუმზადებლობის გამო, სამ სვლაში არ მიიღონ შამათი".



ეროვნული ბიბლიოთეკა



ერ. ქარელიშვილი

ნახ. რ. სტურუასი

# ხალხის საყვარელი პოეტი

## (ნ. ა. ნეკრასოვის გარდაცვალებიდან 75 წლისთავის გამო)

ნიკოლოზ ნეკრასოვი!—ეს სახელი ზარივით რეკდა მეფის რუსეთში. პოეტის შთამაგონებელი ხმა მთელი რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეს სწვდებოდა და აღვიძებდა ჯერ კიდევ მთვლემარე სამშობლოს. პუშკინის შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის რუსულ პოეზიაში არ ყოფილა მეორე პოეტი, რომლის შემოქმედებაც ისე ორგანიულად ყოფილიყო დაკავშირებული ხალხთან და ისე ძლიერად ყვარებოდეს ხალხს, როგორც ნეკრასოვი უყვარდა.

ნ. ნეკრასოვი თავისი მგზნებარე მოქალაქეობრივი იდეალებით, მშრომელებისადმი უსაზღვრო ერთგულებით თავიდანვე უპოპულარეს პოეტად იქცა. 60—70 იანი წლების რევოლუციური ახალგაზრდობა მჭიდროდ ირაზმებოდა ნეკრასოვის გარშემო. ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვთან ერთად, ნეკრასოვის სახელი უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის დროშად იყო გადაქცეული. როგორც პოეზიით, ისე პირადი მაგალითით, ნეკრასოვი მკითხველში განამტკიცებდა სოციალური და პოლიტიკური უკუღმართობის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისა და დაბრკოლებათა გაბედული გადალახვის სულისკვეთებას.

ნიკოლოზ ნეკრასოვი დაიბადა 1821 წლის 4 დეკემბერს, ახალი სტილით, პოდოლსკის გუბერნიის ს. იუზვინაში, ტიპიური ფეოდალის ოჯახში. პოეტის მამა ალექსი ნეკრასოვი საშინელი დესპოტი და უკულტურო ადამიანი იყო. იგი სასტიკად და შეუბრალებლად ეპყრობოდა ყმა გლეხებს. ასევე ულმობელი იყო ოჯახის წევრების—ცოლისა და შვილების მიმართ. ნიკოლოზი მამის ოჯახში ნამდვილი ყმის პირობებში იზრდებოდა. მას უფლება არ ჰქონდა შინიდან გარეთ გასულიყო. მაგრამ იგი არ ეპუებოდა სასტიკ მამას, კეთილი დედის დახმარებით მთელ დროს სოფლის ბავშვებთან ატარებდა. პატარა ნეკრასოვს უსაზღვროდ უყვარდა გლეხები, ხიბლავდა მათი გულთბილი მოპყრობა და ტანჯვითა და მწუხარებით აღბეჭდილი სათნო სახეები.

დედა ერთი იმ ადამიანთაგანი იყო, რომელმაც გააღვიძა და აღზარდა პატარა ნიკოლოზში ბოროტების სიძულვილისა და სიმართლის სიყვარულის, ჰუმანიზმის კეთილშობილური გრძნობები.

ნეკრასოვი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო, გულისტკივილით წერდა, რომ მისი მშვენიერი ხალხი თავის ქვეყანაში დუხჭირ პირობებში ცხოვრობდა, რომ რუსი გ-ეხის ტანჯვა და წამება რუსეთის ველებივით უსაზღვრო და დაუსრულებელი იყო:

„დამისახელე თუნდაც ერთი კუთხე ისეთი
(არ მეგულება, არ მინახავს მე არასოდეს),
რომ მხვნელ-მთესველი რუსი გლეხი
არა კვნესოდეს.
კვნესის გადაშლილ მინდორ-ველზე
და შარაგზაზე,
კვნესის ციხეში წამებული, გულსაკლავ ხმაზე,
მაღაროების ჯურღმულებში ხუნდებგაყრილი,
თივის ზვინის ქვეშ მ-ოდრეკილი,
წელში მოხრილი,
ტრიალ ტრამალზე,
როცა ურმის ქვეშ ათევს ღამეს.
კვნესის საკუთარ ღარიბ ქოხში როდესაც არის,
ყოველ მივარდნილ ქალაქებში
ის კვნესის მწარედ“.

ძველი რუსეთის ამ ამაღელვებელ სურათში, რომელსაც პოეტი სიმართლითა და დიდი მხატვრული ოსტატობით გვიხატავს, უსაზღვრო სევდაა ჩაქსოვილი. აქაა მოქალაქე პოეტის, მგზნებარე პატრიოტის დიდი გულისტკივილი. მაგრამ ეს გულისტკივილი სასოწარკვეთილებით კი არ არის აღბეჭდილი, იგი მკითხველში შურისძიების გრძნობას აღვიძებს და საბრძოლველად მოუხმობს.

ნეკრასოვი ის პოეტი იყო, რო-ელმაც მუზა რევოლუციურ დემოკრატთა განმათავისუფლებელ მოძრაობას დაუკავშირა და ლექსი ბრძოლის ბასრ იარაღად აქცია. ამიტომ ნ. ნეკრასოვის პოეზიის ტრადიციები, რომლებიც შემდგომ ცხოველ გამოხმაურებასა და განვითარებას პოულობდა რეალისტურ მწერლობაში, განსაკუთრებით ძვირფასი და მახლობელია საბჭოთა პოეზიისათვის.

საბჭოთა მწერლებმა, პირველ რიგში ჩვენი ეპოქის უნიჭიერესმა პოეტმა ვლ. მაიაკოვსკიმ ბრწყინვალედ განავითარა ნეკრასოვის მოქალაქეობრივი ტრადიციები.

დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატი პოეტის ნიკოლოზ ნეკრასოვის პოეზია მუდამ შეინარჩუნებს შთამაგონებელ ძალას. ნ. ნეკრასოვისადმი სიყვარული ჩვენს ხალხში არასოდეს შენელდება.

---

ნ. ნეკრასოვი

## მოსწავლე

ჰე, მეეტლევ, გასწი მალე!
წინ ქვიშაა და ნაძვნარი...
ამო, ბალღო, მომიჯექი,
მოწყენილი გზები არი.

ფეხშიშველი, ჭუჭყიანი,
მკერდი ძონძით დაფარული...
სასახელო გზაზე დგახარ,
ნუ გრცხვენია სიარული.

სასწავლებლად წამოსულხარ,
ჩანთაში გაქვს წიგნი, ვხედავ,
ვიცი, თავის ბიჭუნასთვის
მოიფხიკა ჯიბე დედამ.

ან მოხუცმა მეზობელმა
მოგცა ყმაწვილს გროში ფული,
ჩავლილ ვაჭრის ცოლისაგან
გასამრჯელოდ მიღებული.

ან იქნება თავდახსნილი
შინაყმა ხარ — ხდება ასეც,
ნუ შეკრთები, არა გიშავს,
შენივ სწავლა დაგაფასებს.

და გაიგებ, არხანგელსკით
წამოსული რუსი გლეხი,
როგორ გახდა თავის ნებით
გონიერი და უტეხი.

გაგიყოლებს ვინმე მოსკოვს,
ხდება კეთილ ხალხის ნება,
უნივერსტეტს ესტუმრები
და სიზმარი აგიხდება.

ასპარეზი დიდი გელის,
სწავლა, შრომა შეიყვარე...
აი, მეც რად შემიყვარდი,
მშობლიურო ჩემო მხარე.

არ მომკვდარა ის ბუნება,
ჩანს, გაიტანს კიდევ ლელოს, —
ხალხიდან რომ გამოიყვანს
ამდენ კარგს და სასახელოს,

ამდენ კეთილს, კეთილშობილს,
მოყვარული გულით ძლიერს,
მედიდურთა, ჩლუნგთა შორის
რომ შეარჩევს გულისხმიერს.

თარგმნა მაყვალა მრევლიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სახელოვანი იუბილარი

რუსთაველის გამზირიდან ლესია უკრაინკას ქუჩას მთაწმინდისაკენ რომ შეჰყვებით, მცირე მანძილის გავლის შემდეგ, მარცხნივ, სამ სართულიან შენობაზე თქვენს ყურადღებას მიიპყრობს წარწერა: „სტალინის სახელობის, ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა». ეს არის ძველი, ქვის შენობა, რომელიც თავისი გარეგნობით თვალს მაინცადამაინც არ იზიდავს, მაგრამ შეხვალთ თუ არა შიგნით და დერეფნის კედლებზე რამდენიმე წარწერას წაიკითხავთ, ეს სკოლა ისე შეგიყვარდებათ, რომ მის ყოველ წვრილმანს ხარბად დაუწყებთ სინჯვას.

აღნიშნულ სკოლას 1952 წელს დაარსებიდან 150 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით 29 ნოემბერს ჩატარდა მისი იუბილე. ეს იყო შესანიშნავი დღესასწაული ჩვენი რესპუბლიკის სკოლების ცხოვრებაში.

იუბილეს დღეებში კვლავ გაცოცხლდა ამ სკოლის სახელოვანი ისტორია; ბევრი პირველად გაეცნო მას, ბევრმაც ერთხელ კიდევ გაიხსენა იგი. განსაკუთრებული სიხარული იგრძნეს მათ, ვინც ამ სკოლის კედლებს შორის აღიზარდნენ და ახლა ან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ ან კომუნიზმის მშენებლობის რომელიმე უბანზე იმყოფებიან.

ეს სკოლა დაარსდა იმ დროს, როცა მშრომელ ხალხს სწავლის გზას უხშობდნენ, სიმართლეს უმალავდნენ; მაშინ ამ სკოლაში დაბალი ფენებიდან გამოსულ ახალგაზრდობას არ ღებულობდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნული სკოლის ძველი, კარდახშული პერიოდი ყველა ჩვენგანის ყურადღებას ერთი რამით იპყრობს; სახელდობრ იმით, რომ ამ სკოლაში 1802 წლიდან სხვადასხვა დროს აღიზარდა მე-19-20 საუკუნეების თითქმის ყველა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე: ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, ვანო სარაჯიშვილი, კოტე მარჯანიშვილი, ვასო აბაშიძე, ალექსანდრე სუმბათაშვილი — იუჟინი, ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, აგრეთვე გამოჩენილი რუსი მოღვაწე ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო და სხვ.

ერთნახევარი საუკუნის წინ, 1802 წლის 2 სექტემბერს (ძველი სტილით), ეს სკოლა დაარსებულ იქნა „კეთილშობილთა სასწავლებლის“ სახელწოდებით, რომელიც 1830 წელს გადაკეთდა კლასიკურ გიმნაზიად.

პირველ ხანებში სკოლის მიზანი იყო აღეზარდა თარჯიმანები და მთარგმნელები, რომლებიც საქართველოში მეფის რუსეთის დამკვიდრების პირველ ხანებში იყო საჭირო. შემდეგ ეს მიზანი ცოტათი გაფართოვდა—სკოლას უნდა მიეცა საზოგადო განათლება ქართველ თავად-აზნაურთა შვილებისთვის, უნდა მოემზადებინა წარჩინებულთაახა ლგაზრდობა სამოქალაქო სამსახურისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასიკური გიმნაზიის მიზანი და პროგრამა მაშინ ხალხისათვის, ცხადია, შეუფერებელი იყო, მაგრამ იქ მომუშავე მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე რუსი და ქართველი პედაგოგები, მალვით თუ ცხადად, ხელს უწყობდნენ ახალგაზრდებს უფრო ფართოდ გაცნობოდნენ ცხოვრებას, ხალხს, დაენახათ ავი და კარგი. ამ სასწავლებელში ქართველი მოსწავლეები ეცნობოდნენ მე-19 საუკუნის პროგრესულ რუსულ ლიტერატურას და დემოკრატ რევოლუციონერთა ნაწარმოებებს; ამიტომ იყო, რომ ზემოჩამოთვლილი სახელოვანი ქართველი მოღვაწეები ხალხის ბედ-იღბალსა და მომავალს დასტრიალებდნენ, ხალხს უმღეროდნენ, უკეთესი მომავლისაკენ მოუწოდებდნენ, ქმნიდნენ მის კულტურას; ამიტომაა ყველა ჩვენგანისათვის ღირსსახსოვარი ამ სკოლის წარსული, მისი ყოველი კუთხე-კუნჭული, სადაც ახალგაზრდობის საუკეთესო წლები გაუტარებიათ «მერანის» ავტორს, «ოთარაანთ ქვრივის» ავტორს, ახალი ქართული დრამატურგიის დამფუძნებელს, საქართველოს ისტორიის უბადლო მკვლევარსა და სხვებს.

წარმტაცია ამ სკოლის ისტორიის ახალი, საბჭოთა პერიოდი, რომელიც ლენინ-სტალინის ეპოქის შუქით არის განათებული.

## ჩვენი სკოლა

საუკუნენახევრის წინ
ახმაურდა ჩვენი სკოლა;
ქართველ ხალხთან ერთად მანაც
გადიტანა ძნელი ბრძოლა.

და დღეს ბრწყინავს სტალინის მზით,
ბრწყინავს, მისკენ მოვიჩქარით.
გამარჯვების სიხარულით
რეკავს ჩვენი სკოლის ზარი.

რეკავს, ზეიმს ულოცავენ—
დღესასწაულს უდიადესს,
და საჩუქრად გულით ვუძღვნით
ჩვენც ჩვენს, პირველ ხუთიანებს.

**გრიგოლ აბაშიძე**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მშრომელი ხალხისათვის ფართოდ გაიღო აღნიშნული სკოლის კარები, შეიცვალა სკოლის მიზანი და პროგრამა, ჩადგა ხალხის ნამდვილ სამსახურში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კლასიკურ გიმნაზიას, შინაარსის შეცვლასთან ერთად, სახელწოდებაც შეეცვალა—1923 წელს ეწოდა: «თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი მთლიანი სკოლა», ხოლო 1931 წელს მიეკუთვნა დიდი სტალინის სახელი.

ამ სკოლამ 1921 წლიდან დღემდე მრავალი ასეული ახალგაზრდა აღზარდა; იგი ყოველწლიურად დაახლოებით 40-მდე კურსდამთავრებულს უშვებს. ისინი გვხვდებიან ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა უბანზე: უმაღლეს სასწავლებლებში, ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, კომუნიზმის დიად მშენებლობებზე. მათ შორის ბევრია სახელოვანი ადამიანი: პროფესორი, მეცნიერების კანდიდატი, მასწავლებელი, ექიმი, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკი, აგრონომი, ინჟინერი და სხვ.

ამჟამად სკოლაში ირიცხება 1.500 მოსწავლე, მათ შორის ბევრია ისეთი, რომელიც ახლავე იძლევა იმედს, რომ თავისი ნიჭით, ბეჯითი სწავლითა და წესიერი ყოფაქცევით ასახელებს საყვარელ სამშობლოს, სკოლასა და მასწავლებლებს. ამ სკოლის 65 მასწავლებელი სხვადასხვა დროს დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, ხუთ მასწავლებელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება. მოსწავლეთა აღზრდა-განათლების საქმეში ჩაბმულია 75 მასწავლებელი, რომლებიც დაუღალავად მუშაობენ ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

ამხანაგ სტალინის სახელობის თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა მომავალში კვლავაც აღუზრდის ჩვენს ძლევამოსილ დედასამშობლოს სახელოვან შვილებს, ლენინ-სტალინის საქმისათვის თავდადებულ ადამიანებს, კომუნიზმის საქმისათვის დაუღალავ მებრძოლებს.

ეჭვი არ არის, რომ ღირსეულად იქნება შესრულებული ის საპასუხისმგებლო ამოცანა, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ დაუსახა თავის მისალმებაში თბილისის ვაჟთა პირველ სკოლას, დაარსებიდან 150 წლისთავის შესრულების გამო: «საბჭოთა სკოლაში ყველაფერი უნდა დაექვემდებაროს სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობას. სკოლამ განუხრელად უნდა აამაღლოს სწავლების ხარისხი, განამტკიცოს მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინა, შეაიარაღოს ახალგაზრდობა მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნით კომუნიზმის დიად მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. თითოეულმა მოსწავლემ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ისწავლოს ხუთებზე!»

**როსტომ ელანიძე**





სურათზე: 1. კოჯრის № 5 საბავშვო სახლის აღსაზრდელები: დ. ზედგინიძე და ვ. ციციშვილი უსმენენ რადიოგადაცემას; 2. მახარაძის რაიონის საბავშვო სახლის აღსაზრდელები თაიგულებით ეგებებიან ლილი პატარავას, რომელიც ამ საბავშვო სახლში აღიზარდა. იგი ამჟამად მუშაობს მახარაძის კომკავშირის რაიკომში; 3. თელავის საბავშვო სახლის პიონერული კედლის გაზეთის რედკოლეგიის წევრები უშვებენ კედლის გაზეთის ახალ ნ.იმერს;

# საქართველოს ს

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა არაფერს იშურებენ იმისათვის, რათა ჩვენი ქვეყნის ბავშვები აღიზარდონ ჯანმრთელ, ყოველმხრივ განათლებულ და სამშობლოსათვის თავდადებულ მოქალაქეებად.

საბჭოთა სახელმწიფო განსაკუთრებულ მამობრივ მზრუნველობას უწევს უდედმამო ბავშვებს. ისინი დიდი მზრუნველობით იზრდებიან საბავშვო სახლებში და სწავლობენ სკოლებში, ყველა სხვა თავის ტოლ ბავშვებთან ერთად. საბავშვო სახლების აღსაზრდელები აყვანილი არიან სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე. რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებული მოსწავლეები კვლავ საბავშვო სახლებში ცხოვრობენ და ღებულობენ ზოგად საშუალო ან სპეციალურ განათლებას, ხოლო, საშუალო









# შვო სახლებში

განათლების მიიღების შემდეგ, უმაღლეს სასწავლებელში შესულნი, თავისუფალი არიან სწავლის გადასახადისაგან და ღებულობენ სახელმწიფო სტიპენდიას სწავლის მთელი ხნის განმავლობაში.

საბავშვო სახლებში აღზრდილთაგან დღეს მრავალია საქვეყნოდ ცნობილი ნიჭიერი ინჟინერი, აგრონომი, ექიმი, მეცნიერი, მწერალი, კომპოზიტორი, მხატვარი.

საბავშვო სახლების აღსაზრდელებმა კარგად იციან, რომ თითოეული მათგანისათვის ფართოდაა გახსნილი გზა ნათელი მომავლისაკენ. ისინი მხურვალე მადლობას უძღვნიან კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას და პირადად ხალხთა დიდ ბელადს, მშობლიურ სტალინს მამობრივი მზრუნველობისათვის.

4. მახარაძის რაიონის საბავშვო სახლის გეოგრაფიის წრეში; 5. ბეთანიის საბავშვო სახლში: ჭრა-კერვის წრის წევრები—რ. ერაძე, მ. ტოროსიანი და ი. ბონდოევა სწავლობენ კერვას; 6. მახინჯაურის საბავშვო სახლის ისტორიის მასწავლებელი შოთა სირაძე ატარებს გაკვეთილს მეოთხე სააღმზრდელო ჯგუფში; 7. ბეთანიის საბავშვო სახლის ბაღში თავისუფალ დროს.

ფოტო რ. აკოფოვისა





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ი. გრიშაშვილი

ნახ. გ. როინიშვილისა

# ნორჩ შემოქმედთა გაბაასება

დათიკომ სთქვა: ჩემი ლექსით
დავამშვენებ წიგნს და ჟურნალს.
ლექსი გულის მალამოა,
დაღლილობას სპობს და კურნავს.
შენნაირი მხატვარი კი
რამდენიც მსურს იმდენს ვპოვებ,
პირველობა უნდა ერგოს
მხოლოდ პოეტს, მხოლოდ პოეტს.

აქ ნოდარმა პოეტ დათოს
უპასუხა გულის ტკენით:
ლექსს მხატვრობა თუ არ ახლავს
ხდება ძლიერ მოსაწყენი.
მხატვრის ფუნჯი ლექსსა კაზმავს,
როცა ლექსი არა მხატვრობს;
პაწაწინა აკვნის ბავშვიც
სურათიან წიგნებს ნატრობს.

რაზმეულის ხელმძღვანელმა
რომ გაიგო ეს ამბავი,
სთქვა: «რას ცხაროზთ, ყმაწვილებო,
დაანებეთ კამათს თავი».
გადახვია ბავშვებს ხელი,
მიიზიდა ახლოს, მკერდთან:
— მამულისთვის საჭირო ხართ,
ორივ ერთად! ორივ ერთად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ფადეევი

ნახ. კ. მახარაძისა

# საშკო*

ეს იყო უკანასკნელი სოფელი, სადაც კატიას თავისი ხალხის იმედი შეიძლებოდა ჰქონოდა,—შემდგომი გზა მხოლოდ თავისი თავის იმედით უნდა განეგრძო. სოფელი მდებარეობდა აღმოსავლეთით შემოჭრილ გამაგრებულ მაღლობთა უკან, რომლებიც გერმანელთა მიერ ნაჩქარევად შექმნილი თავდაცვის ხაზის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდნენ. ყველაზე უფრო მოხერხებული სახლები, როგორც ივან ფიოდოროვიჩმა უთხრა კატიას, გამაგრებული პუნქტების ოფიცრებსა და პატარა ქვეგანაყოფთა შტატებს ეჭირათ.

ივან ფიოდოროვიჩი აფრთხილებდა ცოლს, რომ მდგომარეობა გართულდებოდა, თუ მისი მოსვლის დროისთვის სოფელი გაჭედილი აღმოჩნდებოდა მდინარე კამიშნაიას თავდაცვის ზღუდიდან განდევნილი გერმანელებით. ეს მდინარე, რომელიც დონეცის შენაკადს—მდინარე დერკულს ერთვოდა, ჩრდილოეთიდან სამხრეთით მოედინებოდა, როსტოვის ოლქის საზღვრის მახლობლად, კანტემიროვკა—მილეროვოს რკინიგზის თითქმის პარალელურად. სწორედ მდინარე კამიშნაიასთან მდებარე ერთ-ერთ სოფელში უნდა მისულიყო ეკატერინა პავლოვნა და იქ დალოდებოდა ჩვეხებს.

თოვლის ფიფქთა ბადეში, უახლოესი ქოხის სილუეტი გაარჩია კატიამ, შარაგზიდან გადაუხვია და სოფელს მინდვრიდან მოუარა; თან სახურავებს არ ჰკარგავდა მხედველობიდან. მას უთხრეს, მესამეა შენი ქოხიო. სულ უფრო ნათლდებოდა. კატია მივიდა ერთიციცქნა ქოხთან და დარაბით დახურულ ფანჯარას მიეკრა. ქოხში სიწყნარე იყო. კატიამ კი არ დააკაკუნა, მოფხოჭია, როგორც ასწავლეს.

დიდხანს არავინ პასუხობდა. გული მაგრად უცემდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ქოხიდან ჩუმად გამოეხმაურა ვიღაც,—ყმაწვილის ხმა იყო. კატიამ ერთხელ კიდევ მოფხოჭნა. მიწის იატაკზე გაიხმაურა პატარა ფეხებმა, კარები ოდნავ გაიღო და კატია შევიდა.



ქოხში სრული სიბნელე იყო.

— თქვენ საიდან?—ჩუმად შეეკითხა ბავშვის ხმა.

კატიამ პირობითი ფრაზა წარმოთქვა.

— დედი, გესმით?—თქვა ბიჭმა.

— ჩუმად...—ჩურჩულით გამოეხმაურა ქალის ხმა.—შენ რა, არაფერი გაგეგება რუსულისა? ეს ხომ რუსი ქალია, ნუთუ არ გესმის? აქ მოდით, ლოგინზე დაჯექით. აჩვენე, საშკო...

ბიჭმა გათოშილი ხელი მოჰკიდა ეკატერინა პავლოვნას თბილ, ხელთათმანში გახურებულ ხელს და წინ წაუძღვა.

— მოიცადე, ქუქუნაკს გავიხდი,—თქვა კატიამ.

მაგრამ მათკენ გაწვდილმა ქალის ხელმა კატიას ხელი ბავშვს გამოართვა და თავისკენ მიიზიდა.

— ასე დაჯექით. ჩვენთან ცივა. გერმანელი პატრულები ხომ არ გინახავთ?

— არა.

ეკატერინა პავლოვნამ თოფრა დააგდო, თავშალი მოიხსნა, დაფერთხა, მერე ქუქუნაკი გაიხსნა, კალთები ჩამოიბერტყა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოჯდა ლოგინზე, ქალის გვერდით. ბიჭმა ჩუმად მოიკალათა მეორე მხარეს და კატიამ კი არ დაინახა, დედობრივი ალღოთი იგრძნო, რომ ბავშვი დედის თბილ სხეულს მიეტმასნა.

— ბევრია სოფელში გერმანელი?—კითხულობდა კატია.

— არც ისე ბევრი. ახლა ისინი აღარც კი ათევენ აქ ღამეს, უფრო მეტად იქ, სარდაფებში არიან.

— სარდაფებში...—ჩაეცინა ბიჭს.—ბლინდაჟებში!

— სულ ერთია. ახლაო ამბობენ, მაშველი ჯარი უნდა მიიღონო, აქ გამაგრდებიანო.

— მითხარით, თქვენ გალინა ალექსეევნა გქვიათ?—შეეკითხა კატია.

— გალია დამიძახეთ, ჯერ არ დავბერებულვარ, გალია კორნიენკოვა.

ასეც ეუბნებოდნენ კატიას, რომ იგი კორნიენკოვებთან მოხვდებოდა.

— თქვენებთან მიდიხართ?—ჩუმად ჰკითხა ბიჭმა.

— ჩვენებთან გასვლა შეიძლება?

ბიჭი ერთხანს დუმდა, მერე იდუმალი გამომეტყველებით თქვა:

— გასულან...

— დიდი ხანია?

ბიჭმა არ უპასუხა.

— მე როგორღა გიწოდოთ თქვენ?—ჰკითხა ქალმა.

— დოკუმენტით—ვერა...

— რადგან ასეა, ვერა იყოს,—ხალხი აქ ჩვენია, დაიჯერებენ. ხოლო ვინც არ დაიჯერებს, არაფერს იტყვის. შეიძლება არის კიდეც ისეთი ავკაცი, რომელიც გაგცემდათ, მაგრამ ახლა ვინღა გაბედავს?—მშვიდი ღიმილით თქვა ქალმა.—ყველამ იცის, მალე ჩვენები მოვლენ... მოეწყვეთ, დაწექით ლოგინზე, მე კი დაგხურავთ, თბილად რომ იყოთ. აი ჩვენ, დედა-შვილს ერთად გვძინავს, ასე თბილა...

ქოხში მართლაც ძალზე ციოდა,—იგრძნობოდა, რომ ზამთრის დამდეგიდან აქ ცეცხლი არ დანთებულა. კატია უკვე შეეჩვია იმას, რომ ქოხები, სადაც გერმანელებია, არ თბება, საჭმელს—უბრალო შეჭამადს, ფაფას, ან კარტოფილს—მცხოვრებლები სახელდახელოდ ამზადებდნენ — ნაფოტის და თივის ცეცხლზე.

კატიამ ქუქუნაკი და თექის ჩექმები გაიძრო და დაწვა. დიასახლისმა მას დალიანდაგებული საბანი დაახურა, საბანს ზევიდან კი ქუქუნაკი. კატიამ ვერც კი შეამჩნია, როგორ ჩაეძინა.

იგი საშინელმა მგრგვინავმა დარტყმამ გამოაღვიძა, რომელიც მან ძილში იმდენად კი არ გაიგონა, რამდენადაც მთელი სხეულით შეიგრძნო. ჯერ კიდევ არაფერი გაეგო ლოგინზე წამომჯდარს, რომ კიდევ რამდენიმე აფეთქებამ თავისი მძლავრი ხმით ირგვლივ ყველაფერი შეაზანზარა. კატიამ გაიგონა მოტორების ღმუილი,—თვითმფრინავებმა დაბლა გადაუქროლეს სოფელს და

* იბეჭდება შემოკლებით.

ერთიმეორეს მიყოლებით ერთბაშად მაღლა აიჭრნენ. კი არ მიხვდა კატია, მან უბრალოდ ხმაზე შეატყო, რომ ეს ჩვენი «ილები» იყვნენ.

— ჩვენები!—წამოიძახა მან.

— კი, ეს ჩვენებია,—თავდაჭერილად თქვა ბიჭმა, რომელიც ფანჯარასთან გრძელ სკამზე იჯდა.

— საშკო, ჩაიცვი, თქვენც ჩაიცვით, ვერა, მგონი ასე გქვიათ, არა? ჩვენები კი არიან, მაგრამ ერთი თუ მოგართვეს, ვეღარც ადგები!— ლაპარაკობდა ქოხის შუაგულში დუმფარის ცოცხით ხელში მდგარი გალია.

— არაფერსაც არ მოგვართმევენ,—ქალებზე თავისი უპირატესობის შეგნებით თქვა ბიჭმა,—ისინი სიმაგრეებს ურტყამენ.

სკამქვეშ შიშველი ფეხები მოეკეცნა, ერთმანეთზე გადაეჯვარედინებინა და იჯდა ასე კაფანდარა ბიჭი მოზრდილი ადამიანის სერიოზული თვალებით.

კატია, რომელსაც თავისი მასწავლებლობის მთელი დროის განმავლობაში ამ ხნის მოზარდებთან ჰქონდა საქმე, გრძნობდა, რომ ბიჭს აინტერესებდა იგი და ძალზე უნდოდა მისი ყურადღება მიეპყრო რითიმე. ამავე დროს, ბიჭს იმდენად ახასიათებდა საკუთარი ღირსების გრძნობა, რომ არც მიმოხვრაში, არც ხმის ინტონაციაში ისეთს არაფერს უშვებდა, რაც შეიძლებოდა მას მოურიდებლობაში ჩამორთმეოდა.

სადღაც სოფლის წინ ისმოდა საზენიტო ტყვიამფრქვევთა გააფთრებული კაკანი. კატია უსმენდა. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ აღელვებული იყო, მას არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ გერმანელებს აქ ჯერ კიდევ არა ჰქონდათ საზენიტო არტილერია. ეს იმას ნიშნავდა, რომ გამაგრებათა ამ ხაზმა მხოლოდ ახლა, უცებ მოიპოვა პირველხარისხოვანი თავდაცვის ხაზის მნიშვნელობა.

— ბარემ ჩქარა მოვიდნენ ჩვენები!—ამბობდა გალია.—ჩვენ სარდაფიც კი არა გვაქვს. უკან რომ იხევდნენ ჩვენები, გერმანელთა თვითმფრინავებისაგან თავდასაცავად მეზობლებთან გავრბოდით, მათ სარდაფებში ვაფარებდით თავს, თუ არა და პირდაპირ მინდორში,—დავწვებოდით ბარდებში ან კვლებში, ყურებს დავიცობდით და ველოდით...

ყუმბარების ახალმა დარტყმებმა—ერთმა, მეორემ, მესამემ შეაზანზარა ქოხი, ჩვენმა თვითმფრინავებმა ისევ ღმუილით გადაუქროლეს სოფელს და ზეცაში შეჰკრეს კამარა.

— უი, დედაჩემო! — შეჰყვირა გალიამ, ჩაჯდა და ხელები ყურებზე მიიფარა.

ეს ქალი, რომელიც თვითმფრინავების ხმაზე ჩაცუცქდა, ამ რაიონის პარტიზანთა მთავარი ბინის დიასახლისი იყო. გალია კორნიენკოს ბინაზე გადიოდა ტყვეობიდან გამოქცეული, ან გარემოცვიდან გამოსული წითელარმიელების მთავარი ნაკადი. კატიამ იცოდა, რომ გალიას ქმარი ომის დასაწყისშივე დაეღუპა, ორი პატარა ბავშვი კი ოკუპაციის დროს დიზენტერიით დაეხოცა. რაღაც ძალზე გულუბრყვილო და ძალზე ადამიანური იყო გალიას ამ უნებლიე მოძრაობაში: გახდე უფრო დაბალი, ხიფათს დაემალო, თუნდაც ყურები დაიცო, რომ არაფერი გაიგონო. კატია მიიჭრა გალიასთან და მოეხვია მას.

— ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ!..—გრძნობით წამოიძახა კატიამ.

— მე განა მეშინია, მაგრამ ქალს თითქოს ასე შეჰფერის!—გალიამ შავი ხალებით დაფარული მშვიდი სახე მიაპყრო მას და გაიცინა.

ამ ქოხში ეკატერინა პავლოვნამ მთელი დღე გაატარა. მას მთელი თავისი ნებისყოფის დაძაბვა დასჭირდა, რომ დაბინდებამდე მოეთმინა,—ისე ეწადა, რაც შეიძლება ჩქარა გასულიყო ჩვენებისაკენ. ჩვენი «ილები», გამანადგურებელთა თანხლებით, მთელი დღის განმავლობაში ბომბავდნენ სოფლის წინ მდებარე სიმაგრეებს. «ილების» რიცხვი დიდი არ იყო,— როგორც ჩანდა, ორი სამეული. ისინი აკეთებდნენ ორ-ორ, სამ-სამ შემოვლას და დაბომბვის შემდეგ ბომბებისა და ბენზინის მარაგის შესავსებად მიდიოდნენ და კვლავ ბრუნდებოდნენ. ასე მუშაობდნენ ისინი დილიდან საღამომდე.

სოფლის თავზე მთელი დღის განმავლობაში იმართებოდა საჰაერო ბრძოლები ჩვენს გამანადგურებლებსა და «მესერებს» შორის. ხანდახან ისმოდა, ძალიან მაღლა რომ მიდიოდნენ გუგუნით საბჭოთა ბომბდამშენები, გერმანელთა დაცვის რომელიღაც შორეული ზღუდეებისაკენ.

დღის განმავლობაში რამდენჯერმე ჩაიქროლეს გერმანელთა მოიერიშეებმა და სადღაც, არც თუ ისე შორს, ჰყრიდნენ ბომბებს, შეიძლება, მდინარე კამიშნაიას გადაღმა. იქიდან გამუდმებით მოისმოდა მძიმე არტილერიის გუგუნი.

ეკატერინა პავლოვნა და გალია მრავალმნიშვნელოვნად გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს. და მხოლოდ პატარა საშკოს იდუმალი გამომეტყველებით მიეპყრო მზერა სადღაც.

ამ საჰაერო ბრძოლებმა და საარტილერიო სროლამ აიძულეს მცხოვრებლები ქოხებსა და სარდაფებში დამალულიყვნენ და ეკატერინა პავლოვნა მომსვლელთაგან იხსნეს. გერმანელი სალდათები კი, როგორც ჩანს, თავიანთ საქმეში იყვნენ ჩაფლულნი. გეგონებოდათ, სოფელი ცარიელია და მხოლოდ ამ ერთ პატარა ქოხში ცხოვრობენ ეს სამნი—ორი ქალი და ბიჭი.

რაც უფრო ცოტა დრო რჩებოდა იმ გადამწყვეტ, შეიძლება, საბედისწერო წუთამდეც, როცა კატია უნდა შედგომოდა გზას, მით უფრო უძნელდებოდა მას თავის დაჭერა, იგი ცდილობდა დაწვრილებით გამოეკითხა გალიასთვის თავისი მომავალი გზის შესახებ, შეძლებს თუ არა ვინმე მისთვის გზის ჩვენებას, გალია კი მხოლოდ ამას ეუბნებოდა:

— ნუ შფოთავთ, დაისვენეთ, კიდევ მოასწრებთ შეშფოთებას.

უფრო დაბინდდა და «ილებმა» გაათავეს თავისი უკანასკნელი «ფერხული». დადუმდნენ საზენიტო ტყვიამფრქვევები. ირგვლივ სიწყნარე ჩამოვარდა, და მხოლოდ შორეულ უსაზღვრო სივრცეში კვლავ გრძელდებოდა გაურკვეველი შრომითი, საბრძოლო ცხოვრება-ფუსფუსი. პატარა საშკომ სკამქვეშ გადაჯვარედინებული ფეხები, რომლებზეც თექის ჩექმები დღისით მაინც ჩაეცვა, — ძირს ჩამოუშვა, კართან მივიდა და უხმოდ დაიწყო დაკერებული, ოდესღაც თეთრი, ახლა კი ჭუჭყიანი ტყავის ქურქის ჩაცმა.

— ვეროჩკა, დროა უკვე,— თქვა გალიამ.—სწორედ კარგი დროა. ის წყეულები ახლა ერთხანს დასასვენებლად დაწვებიან. ჩვენიანებიდან კი შეიძლება ვინმე მოვიდეს აქ. უმჯობესი იქნება, არავინ გნახოს.

ბინდში ძნელი გასარჩევი იყო მისი სახის გამომეტყველება. მისი ხმა ყრუდ ისმოდა.

— ბიჭი საითკენ აპირებს?—იკითხა კატიამ და რაღაც გაურკვეველი გრძნობა აღეძრა მღელვარებისა.

— არაფერია, არაფერი,— ნაჩქარევად წარმოთქვა გალიამ. იგი უეცრად დაფაცურდა ქოხში—კატიას და შვილს ჩაცმაში ეხმარებოდა.

კატიას დედური გამომეტყველებით აღსავსე მზერა წამით საშკოს ფერმკრთალ სახეზე შეჩერდა. აი, ვინ ყოფილა ის ცნობილი გამყოლი, რომელსაც ოკუპაციის ხუთი თვის მანძილზე მტრის სიმაგრეთა მთელ სიღრმეზე გაჰყავდა თითო-თითოდ, ჯგუფებად. მთელ რაზმებად — ასობით, და იქნებ ათასობითაც, ჩვენი ხალხი! ბიჭი უკვე აღარ იყურებოდა კატიას მხარეს. იგი იცვამდა თავის ტყაპუჭს და მთელი თავისი მოქმედებით თითქოს ამბობდა: «ბევრი დრო გქონდა, გემზირნა ჩემთვის. ვერ მიხვდი, ახლა კი ჯობს, ხელს ნუ მიშლი».

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ ცოტა მოიცადეთ, მე კი გავალ საყარაულოდ და გეტყვით.— გალია მიეშველა ეკატერინა პავლოვნას, რომელსაც ქუქუნაკი ეცვა და ვერ მოეხერხებინა თოფრის თასმებში მკლავის გაყრა. მერე ზურგზე თოფრა შეუსწორა.—მოდი, დავემშვიდობოთ ერთმანეთს. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ...

მათ ერთმანეთი გადაჰკოცნეს და გალია ქოხიდან გავიდა. კატიას უკვე აღარ უკვირდა, დედა რომ არ მოეფერა შვილს, არც კი გამოემშვიდობა. ახლა კატიას აღარაფერი აკვირვებდა. მას ესმოდა, რომ სიტყვები: «ისინი შეჩვეულნი არიან» აქ გამოუსადეგარი იყო. თვითონ იგი, კატია, ვერ მოითმენდა და კოცნით აავსებდა, ჩაიხუტებდა თავის ბიჭუნას, თუ ბედი მას ასეთ სახიფათო, საბედისწერო საქმეზე მის გაცილებას არგუნებდა. მაგრამ კატიას არ შეეძლო არ დათანხმებულიყო, რომ გალია უფრო სწორად იქცეოდა. და გალია სხვაგვარად რომ მოქცეულიყო, პატარა საშკო შეიძლება თავსაც კი აარიდებდა მის ალერსს, არც კი მიიღებდა მას, რადგან დედის ალერსს ახლა მხოლოდ მოლბობა შეეძლო მისი.

საშკოსთან დარჩენილი კატია უხერხულად გრძნობდა თავს. იგი გრძნობდა, რომ რაც არ უნდა ეთქვა, ყოველივე ყალბად გაისმოდა. მაგრამ თავი ვერ შეიკავა და უაღრესად საქმიანი ტონით წარმოთქვა:

— შენ შორს ნუ წახვალ, მხოლოდ მაჩვენე, სად გავიდე სიმაგრეთა შორის, მერე მე გზა ვიცი.

საშკო დუმდა და არც კი უყურებდა მას. ამ დროს გალიამ კარები შემოაღო და ჩურჩულით თქვა:

— მოდით, არავინაა...

იყო ღრუბლიანი, წყნარი, არც ძალზე ცივი და არც თუ ისე ბნელი ღამე,—ალბათ მთვარე ზამთრის ნისლის თხელ ფარდას ამოფარებოდა და თოვლიც ანათებდა.

საშკო, რომელსაც ქუდი კი არა, ძალზე ნახმარი და სრული, დაჭმუჭნილი კარტუზი ჩამოეფხატა, უხელთათმანებოდ, თექის ჩექმებით—პირდაპირ მინდორში წავიდა უკანმოუხედავად. როგორც ჩანს, მან კარგად იცოდა,—დედა არ დაალალატიანებდა: თქვა «არავინაა»,—ეს ნიშნავს მართლაც არავინაა.

ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადაჭიმული ბორცვების ზოლი, რომელიც მათ უნდა გაევლოთ, მდინარე დერკულისა და მისი შენაკადის კამიშნაიას წყალგამყოფი იყო. სოფელი დაბლობში, ორ ოდნავ ამაღლებულ გორაკშუა გაშლილიყო, რომლებიც დერკულის მხარეს სტეპში მიდიოდნენ, თანდათან დაბლდებოდნენ და ველს უერთდებოდნენ. საშკო სოფლის მოწინააღმდეგე მხარეს პირდაპირ მინდორში მიდიოდა, რათა ერთი ბორცვთაგანი გადაელახა. კატია მიხვდა თუ რატომ აიღო საშკომ ეს მიმართულება. უმნიშვნელო სიმაღლისა იყო ველზე აღმართული ბორცვი, მაგრამ როცა ისინი მასზე გადავიდნენ, სოფლიდან მათი დანახვა უკვე აღარ შეიძლებოდა. როდესაც ბორცვი გადაიარა საშკომ, მის გასწვრივ აღმოსავლეთით გაუხვია. ახლა ისინი გერმანელთა სიმაგრეების პერპენდიკულარულად მიდიოდნენ.

იმ მომენტიდან, როდესაც ისინი გამოვიდნენ, საშკოს ერთხელაც არ მოუხედნია უკან, მომყვება თუ არა თანამგზავრიო. ქალი მორჩილად მისდევდა მას. ახლა ისინი მიაბიჯებდნენ პატარა თოვლიდან ამოჩრილ ნაწვერალში, ისეთივე დაბლობით, როგორზეც სოფელი იყო განლაგებული. ისევე, როგორც წინა ღამეს, მკაფიოდ მოისმოდა სადღაც ჩრდილოეთით და სამხრეთით საგრეიდერო გზებზე უკანდახეული გერმანელების ფაცაფუცი. ქვემეხთა გუგუნი უფრო იშვიათი გახდა.

ფაფუკი თოვლი უხმოდ ეგებოდათ ფეხქვეშ, მხოლოდ ისმოდა, თუ როგორ ხრაშუნობდა თექის ჩექმები ნაწვერალში. მერე ნაწვერალი გათავდა. საშკომ მოიხედა და ხელით ანიშნა—მოდიო. როდესაც კატია მიუახლოვდა, საშკო ჩაცუცქდა და კა-



ტიას აჩვენა, შენც ასე მოიქეციო. ქალი პირდაპირ დაჯდა თოვლზე თავისი ქუქუნაკით. საშკომ სწრაფად მიათითა ჯერ მასზე, მერე თავის თავზე, და თოვლზე აღმოსავლეთით მიმართული ხაზი გაავლო თითით. ხელები ქურქის სახელოთი ჰქონდა დაფარული, მან გაინთავისუფლა ისინი და სწრაფად მოხვეტა თოვლი, ახლახან გაყვანილი ხაზის გარდიგარდმო წვეტიანი ბორცვი გააკეთა. კატია მიხვდა, რომ მან მათ მიერ გასასვლელი გზა და ის წინაღობა დახაზა, რომელიც უნდა გადაელახნათ. მერე მან კვალს ბლუჯა თოვლი ჩამოაშორა ჯერ ერთ, მერე მეორე ადგილას, თითქოს კვალში ორი გასასვლელი გააკეთა. თითებით მან გამაგრებული პუნქტები აღნიშნა თოვლზე და გაავლო ხაზი ჯერ ერთ გასასვლელში, მერე მეორეში. კატია მიხვდა, რომ მან ორი შესაძლებელი გზა უჩვენა.

კატიას სუვოროვის გამოთქმა მოაგონდა და გაეღიმა: ყოველ სალდათს თავისი მანევრი უნდა ესმოდეს. ამ ათი წლის სუვოროვის თვალში იგი, კატია, მისი ერთადერთი სალდათი იყო. დასტურის ნიშნად თავი დაუქნია — გავიგე «ჩემი მანევრიო» და ისინი დაიძრნენ.

ისინი ახლა შეპოვლითს მოძრაობას აკეთებდნენ ჩრდილოაღმოსავლეთის მიმართულებით. ასე მივიდნენ მავთულხლართების ხშირ ზოლთან. საშკომ ანიშნა კატიას — დაწოლილიყო, თვითონ კი მავთულხლართების გასწვრივ გაემართა. მალე იგი თვალს მიეფარა.

კატიას წინ გაჭიმულიყო მავთულხლართების ხაზი, დაახლოებით თორმეტ რიგად. ხაზი ძველი იყო, მავთული უკვე დაჟანგულიყო,—კატიამ კიდევაც მოსინჯა იგი. აქ «ილების» მუშაობის არავითარი კვალი არ ჩანდა. ალბათ, მავთულხლართების ეს ზოლი გერმანელებმა პარტიზანთა წინააღმდეგ გამართეს: იგი ზურგიდან იცავდა ბორცვს და მთავარ სიმაგრეთაგან შორს იყო განლაგებული.

დიდი ხანია არ განუცდია კატიას ასეთი მძიმე მოლოდინი. დრო გადიოდა, საშკო კი არსად ჩანდა. გავიდა საათი, მეორე, ბიჭი კი არ ბრუნდებოდა. მაგრამ რატომღაც კატიას ეს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა



აღელვებდა: ეს იყო ბიჭი—მებრძოლი, რომელსაც შეიძლებოდა დაჰყრდნობოდა.

იგი ისე დიდხანს იწვა უძრავად, რომ კანკალმა აიტანა. ხან ერთ გვერდზე ბრუნდებოდა, ხან მეორეზე, ბოლოს ველარ გაუძლო და წამოჯდა. არა, დაე პატარა სუვოროვმა გაამტყუნოს იგი, მაგრამ რადგან ასე დიდი ხნით დასტოვა, კატია იმას მაინც შეეცდება რომ გარემოში გაერკვიოს, თუ ბიჭი ხოხვით კი არა, გამართული წავიდა, მაშინ კატიასაც შეუძლია წელში მოხრილმა ცოტა გაიარ-გამოიაროს.

კატიას ორმოცდაათი ნაბიჯი არც კი გაევლია, რომ მოულოდნელად ისეთი რამ დაინახა, რამაც სიხარულისგან ააცახცახა. მის წინ იყო ახლადგამსკდარი ყუმბარის ოსწორმასწორო ძაბრი. ყუმბარა ახლახან გამსკდარა, ამოუბრუნებია შავი მიწა და თოვლზე მიმოუფანტავს. ეს იყო სწორედ ყუმბარის ძაბრი და არა თვითმფრინავებიდან ჩამოგდებული ბომბისა. ამის გაგება უმალვე იმით შეიძლებოდა, თუ როგორ გადაწვა ამობრუნებული მიწა—უფრო მეტად ერთ მხარეს, სწორედ იმ მხარის, საიდანაც მოვიდნენ საშკო და კატია. და ჩანდა, საშკომაც მიაქცია ამას ყურადღება, სანამ წინ წავიდოდა, ძაბრს შემოუარა,—ასე აჩვენებდა კვალი.

კატია თოვლზე თვალს აცეცებდა, სხვა ძაბრებს ეძებდა. მეტი არ იყო,—ყოველშემთხვევაში ახლო-მახლო არ იყო. გამოუთქმელმა, სავსებით სხვაგვარმა მღელვარებამ მოიცვა იგი: ეს მხოლოდ ჩვენი ყუმბარის ძაბრი შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ ეს არ იყო შორსმსროლელი მძიმე არტილერიის ყუმბარის ძაბრი; მიწა ამობრუნებული იყო საშუალო ყალიბის ქვემეხის ყუმბარის მიერ,—ჩვენებს არც თუ ისე შორი მანძილიდან უსვრიათ. ალბათ ეს იყო კვალი—ერთ-ერთი კვალი იმ მძაფრი საარტილერიო სროლისა, გალინას ქოხში რომ ესმოდათ სამივეს, შეღამებისას.

ჩვენები ახლოს არიან! აქვე—გვერდით! რა სიტყვებით შეიძლება გადმოიცეს გრძნობები ამ ქალისა, რომელმაც ხუთი თვე გაატარა თავისი ბავშვებისაგან მოშორებით, გაატარა გაუთავებელ საშინელ ბრძოლაში, მარადი ოცნებით იმ წუთზე, როდესაც სისხლით დალაქულ მაზარაში გამოწყობილი ადამიანი ფეხს შეადგამს მტრისაგან შერყვნილ მშობლიურ მიწაზე და თავის ძმურ მკლავებს გადაშლის მკერდში ჩასახვევად? რა ძალით გაიწია კატიას გატანჯულმა გულმა მისკენ, ადამიანისაკენ, რომელიც ამ წუთში მისთვის უფრო ახლობელი იყო, ვინემ ქმარი ან ძმა!

თოვლზე თექის ჩექმების ნელი ხრაშუნი მოესმა კატიას, და საშკო მივიდა მასთან. პირველ წუთში ქალმა არც კი მიაქცია ყურადღება იმას, რომ საშკოს ქურქი, მუხლები და თექის ჩექმები თოვლით კი არა, მიწით იყო გათხუპნული,—ბიჭი მოდიოდა სახელოებში ხელიბგაყოფილი. ალბათ დიდხანს მოუხდა ხოხვა და გაითოშა. ხარბად მიაპყრო კატიამ მზერა საშკოს,—რა მოაქვს, ნეტავ, მისთვის მას? მაგრამ ბიჭის სახე, ამ დიდი, ყურთამდე ჩამოფხატული კარტუზის ქვეშ უშფოთველი იყო. მან მხოლოდ ხელის მტევნები გამოიღო სახელოებიდან და უარყოფითი ჟესტით ანიშნა: «აქ გასვლა არ შეიძლება».

ამ ჟესტმა თავზარი დასცა კატიას. ბიჭმა ჯერ ძაბრს შეხედა მერე ეკატერინა პავლოვნას. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და ბიჭმა უცებ გაიღიმა. ალბათ ამ ძაბრის დანახვამ ადრე მასზე ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინა, როგორიც ახლა კატიაზე. მან გაიგო ყოველივე, რაც ეკატერინა პავლოვნას გულში ხდებოდა და მისმა ღიმილმა ესა თქვა: «არაფერია, რომ აქ გასვლა არ შეიძლება. ჩვენ გავალთ სხვა ადგილას».

მათი დამოკიდებულება ახალ ფაზაში შევიდა,—მათ გაუგეს ერთმანეთს. ისინი კვლავინდებურად ერთ სიტყვასაც არ ამბობდნენ, მაგრამ დამეგობრდნენ.

ქალმა წარმოიდგინა, როგორ მოხოხავდა ბიჭი გაყინულ მიწაზე შიშველი, წვრილი ხელებით დაყრდნობილი. მაგრამ ბიჭმა თავს ერთი წუთის დასვენების უფლებაც კა არ მისცა. მან კატიას ანიშნა, «გამომყევიო», და თოვლში თავიანთ კვალს საწინააღმდეგო მიმართულებით დაადგა.

ძნელია იმ გრძნობის განსაზღვრა, რომელსაც კატია ამ ბიჭის მიმართ განიცდიდა. ეს იყო ამხანაგობის გრძნობა, გრძნობა ნდობისა, დაქვემდებარებისა, პატივისცემისა. ამავე დროს ეს იყო დედობრივი გრძნობა. ეს იყო ყველა ეს გრძნობა, ერთად შერწყმული.

კატიას არ დაუწყია იმის გამოკითხვა, თუ რამ შეუშალათ ხელი აქ გასვლაში. ქალი ერთი წამითაც არ დაეჭვებულა იმაში, რომ საშკო სახლისკენ კი არ შებრუნდა, არამედ შემოვლით მიჰყავს იგი სიმაგრეთა შორის მეორე გასასვლელისკენ. მან არ შესთავაზა ბიჭს ხელების გასათბობად თავისი ხელთათმანები, რადგან იცოდა—იგი არ აიღებდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მათ კვლავ ჩრდილოეთისაკენ გაუხვიეს, მერე ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. და ისევ მავთულხლართებთან გავიდნენ, რომლებიც ახლა სხვა ბორცვს ერტყმოდნენ გარს. საშკო წავიდა და კატია კვლავ მოლოდინად იქცა. ბოლოს იგი

გამოჩნდა მიწით კიდევ უფრო გათხუპნული, ყურთამდე ჩამოფხატული კარტუზით და სახელოებში გაყრილი ხელებით. კატია თოვლზე იჯდა და უცდიდა მას. ბიჭმა თავისი სახე კატიას სახეს მიუახლოვა, თვალი ჩაუკრა და გაუღიმა.

ქალმა მაინც შესთავაზა მას თავისი ხელთათმანები, მაგრამ საშკომ უარი უთხრა.

ის, რაც მას ყველაზე უფრო ძნელად წარმოედგინა, ნამდვილად, როგორც ეს ხშირად ხდება ცხოვრებაში, ძალზე იოლი კი არა, შეუმჩნეველიც აღმოჩნდა. კატიამ ვერც კი შეამჩნია, როგორ გაიარეს ორ გამაგრებულ პუნქტს შორის. ეს იყო ყველაზე უფრო იოლი, რაც მას ამ ლაშქრობისას გადახდა. და მხოლოდ შემდეგ მიხვდა იგი, თუ რატომ იყო ეს ასე ადვილი· მას აღარც კი შეეძლო იმის გახსენება, რამდენი იარეს, მერე— რამდენი იხოხეს. მას მხოლოდ ის ახსოვს, რომ მთელი ის მიდამო ამობრუნებული იყო დღისით «ილების» მუშაობის შედეგად. და ეს იმიტომ დაამახსოვრდა, რომ როდესაც მინდორში გავიდნენ, ქუქუნაკი, თექის ჩექმები და ხელთათმანები, ისევე ამოგანგლული ჰქონდა მიწაში, როგორც საშკოს.

მერე მათ საკმაოდ კარგახანს იარეს ამ ვრცელი, დაბალ ბორცვიანი ველით, ქათქათა თოვლზე. ბოლოს საშკო გაჩერდა და უკან მობრუნდა, კატიას დაუცადა.

— გზა აი, ასეა. ხედავ თუ არა? — ჩურჩულით ჰკითხა მან და ხელი გაიშვირა.

საშკო აჩვენებდა კატიას, როგორ უნდა გასულიყო იგი იმ სოფლიდან მიმავალ შარაგზაზე, საიდანაც ისინი გამოვიდნენ, და რომელი შარაგზაც იმ ხუტორზე გადიოდა, რის გავლითაც კატიას გზა უნდა განეგრძო. ახლა კატია იმ ზონაში მოხვდა, სადაც, ივან ფიოდოროვიჩის რუკის მიხედვით ცოტა იყო გერმანელთა გამაგრებული პუნქტები. მაგრამ აქ, ივან ფიოდოროვიჩის სიტყვებით რომ ვთქვათ, საშინელი არევდარევა უნდა ყოფილიყო გერმანელთა სწრაფი უკანდახევის გამო. უკანდახეულ დაქუცმაცებულ ნაწილებს აქ დროებითი სიმაგრეების აგება და საარიერგარდო ბრძოლების წარმოება შეეძლოთ. ყოველ ადგილას შეიძლებოდა წაწყდომოდი უკანდახეულ გერმანელთა დანაყოფს, ან ნაწილიდან შემთხვევით ჩამოცილებულ სალდათებს. ამ უბანს ივან ფიოდოროვიჩი ყველაზე უფრო სახიფათოდ თვლიდა.

მაგრამ თუ საგრეიდერო გზაზე უკანდახეული ნაწილების ამ ფაცა-ფუცსა და სამხრეთ-აღმოსავლეთით, ძილეროვოსთან განუწყვეტელ კანონადას არ ჩავთვლით, აქ არაფერი არ იუწყებოდა ივან ფიოდოროვიჩის მიერ მოხაზულ ვითარებაზე.

— ბედნიერად!—თქვა საშკომ და ხელი ჩამოუშვა.

აი, აქ, დედობრივი გრძნობა მასში ყველა დანარჩენს დაეუფლა. მას მოუნდა ბიჭის ხელში ატაცება, გულში ჩახუტება და ასე დიდხანს, დიდხანს ყოფნა, მას მოუნდა საშკოს დამალვა თავის მკერდში მთელ სამყაროსაგან, მაგრამ ეს, ცხადია, მათ დამოკიდებულებას გააფუჭებდა.

— მშვიდობით. გმადლობთ,— კატიამ ხელთათმანი გაიხადა და ხელი გაუწოდა ბიჭს.

— ბედნიერად!— კვლავ გაიმეორა საშკომ.

— ჰო, დამავიწყდა,—თქვა კატიამ ოდნავი ღიმილით. —იმ გადასასვლელით რატომ არ შეიძლებოდა გასვლა?

— საშკომ წარბები შეიკრა მრისხანედ:

— ფრიცები თავისიანებს მარხავდნენ. დი-ი-ი-დი ორმო ამოთხარეს!..—და მრისხანე, არაბავშვურმა ღიმილმა დაფარა მისი სახე.

ერთხანს კატია მიდიოდა და თან უკან იხედებოდა, საშკოს გაშვება არ უნდოდა თვალთახედვიდან. მაგრამ საშკოს ერთხელაც არ მოუხედნია და მალე ბინდში გაუჩინარდა.

და აქ მოხდა ყველაზე უფრო ძლიერი რამ, რაც კატიას მეხსიერებაში მთელი ცხოვრების მანძილზე აღიბეჭდა. ორას მეტრზე მეტი არც კი გაევლო კატიას და თავისი ვარაუდით ის იყო გზაზე უნდა გასულიყო, რომ უცებ, ბექობზე ასულმა, პირდაპირ თავის წინ, ბორცვის გადაღმა მდგარი უზარმაზარი ტანკი დაინახა, გზისაკენ ირიბად მიმართული გრძელი ლულით. ტანკის თავზე უცნაური შავი, რაღაც ბურთისებრით დაგვირგვინებული მოწყობილობა—ყველაზე უწინ ეს მოხვდა მას თვალში—ერთბაშად შეინძრა და ღია კოშკურაში მდგარი ჩაფხუტიანი ტანკისტი აღმოჩნდა.



ტანკისტმა ისე სწრაფად მიმართა კატიასაკენ ავტომატი, თითქოს შემართული იარაღით უკვე უცდიდა მას და ძალიან მშვიდად უთხრა:

— დადექ!

ეს თქვა მან ჩუმად და ამავე დროს ხმამაღლა, თქვა მბრძანებლურად და ამავე დროს თავაზიანად, რამდენადაც ქალთან ჰქონდა საქმე. მაგრამ რაც მთავარია, მან თქვა ეს წმინდა რუსულ ენაზე.

კატიას ძალა არ ეყო, რაიმე ეპასუხნა და თვალთაგან თქრიალით წასკდა ცრემლები.

თარგმნა **მიხეილ კაკაბაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ნაზიმ ჰიქმეთი** — ნახ. ზ. ხახუტაშვილისა

# აშუღი

✻

**ნაზიმ ჰიქმეთის პიესაში „მოთხრობა თურქეთზე", რომლის ერთ სურათს ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში ვაქვეყნებთ, ნაჩვენებია თურქი ხალხის ბრძოლა მშვიდობის შესანარჩუნებლად, ომის გამჩაღებელთა წინაალმდეგ. ავტორი მისთვის ჩვეული პოლიტიკური სიმახვილითა და სიმძაფრით გვიხატავს თურქი ხალხისა და მისი პროგრესული ინტელიგენციის შეუპოვარ ბრძოლას თურქი რეაქციონერებისა და მათი ამერიკელი ბატონების წინაალმდეგ.**

✻

(პოლიციის უფროსი, მისი ამერიკელი მრჩეველი მისტერ სმიტი, თარჯიმანი, პოლიციელები. რეკავს ტელეფონი, პოლიციის უფროსი მილს იღებს).

**პოლიციის უფროსი**—ალლო... ბატონი ქიამილი?... დიახ... პოლიციის უფროსი, დიახ, თქვენ გიძებდით, ამ დილით თქვენი ძიძა დავაპატიმრეთ, ფათმა-ხანუმი. ფიქრი ნუ გაქვთ... მშვიდობის მომხრეებთან ერთად. არა, მოწოდებაზე არ აწერს ხელს. ნურა გეფიქრებათ-რა. თუ მოისურვებთ, ყველაფერს აგიხსნით ერთი სათხოვარი: ფათმა-ხანუმის შვილიშვილი... დიახ, დიახ, ალი-ბეი... მასთან შეხვედრა გვინდოდა... მეტად მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს... გვინდა ერთ საქმეში დავიხმაროთ. თქვენ ნუ ღელავთ. ოღონდ კარგი იქნებოდა ალი-ბეისთვის გერჩიათ, რომ დაგვხმარებოდა. აბა, გელოდებით. მიიღეთ ჩემი პატივისცემა. (მილს დადებს. თარჯიმანს მიმართავს) მოახსენე ბატონ სმიტს, რომ ქიამილ-ბეი ექვს საათზე აქ იქნება...

**თარჯიმანი**—მესმის. მისტერ სმიტსა სურს, აშუღი დაკითხოთ.

**პოლიც. უფროსი**—ხომ არ აჯობებდა, მშვიდობის მომხრეთა დაკითხვა გაგვეგრძელებინა?

**თარჯიმანი**—მოვახსენე, მაგრამ დაუჟინია, ჯერ აშუღი დავკითხოთო. ასე ამბობს, ცოტათი გაგვართობსო, თანაც გამოვარკვევთ, რაიმე კავშირი ხომ არა აქვთ სხვა პატიმრებს და ამასო.

**უფროსი**—არა მგონია. მაგრამ რა გაეწყობა! რაკი ასე სურს, მისი ნებაა. (პოლიციელს) შემოიყვანეთ აშუღი. (პოლიციელი გადის) ახლა ასე მოვიქცეთ: შენ ბატონ სმიტს უთარგმნე საქმის მთავარი არსი; დაკითხვის დროს თუ ექნება რაიმე შენიშვნა, ქაღალდზე დამიწერე და გადმომეცი. (პოლიციელს შემოჰყავს მოხუცი აშუღი სათილმიში) აქეთ მოიწი, ძია კაცო. შენი სახელი?

**აშუღი სათილმიში**—ალი ოღლი სათილმიში მქვია, ბეი... გვარი—ბაქრი იანიკი, ხოლო გლეხები ხიჯრაანს მეძახიან.

**უფროსი**—რომელი ერთი გქვია—სათილმიშიც, ბაქრიც, იანიკიც და ხიჯრაანიც?

**სათილმიში**—რომელიც გენებოთ, ის დამიძახეთ, ბეი, სულ-ერთია, სამარისაგან მაინც არ მიხსნის.

**უფროსი**—თვალზე რა მოგივიდა?

**სათილმიში**—თქვენივე ხალხმა მიყო, ბეი, ასე შემამკეს.

**უფროსი**—კარგად მოქცეულან. სამშობლოს მოღალატეებისათვის სიკვდილიც კი ცოტაა!

**სათილმიში**—მართალს ბრძანებ, ბეი; სამშობლოს მოღალატისთვის სიკვდილი ცოტაა...

**უფროსი**—ვითომ რაო, ამითი რისი თქმა გინდა?

**სათილმიში**—შენ დიდი კაცი ბრძანდები, ბეი. თქვენი სიტყვები საქმით უნდა დავადასტუროთ.

**უფროსი**—სადაური ხარ?

**სათილმიში**—ერზინჯანელი გახლავარ, ბეი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**უფროსი**—მერე, ფეხით ჩამოხვედი ერზინჯანიდან?

**სათილმიში**—ფეხით, ბეი. მოვდივარ ასე, სოფელ-სოფელ, ვუკრავ საზანდარზე, ვმღერი. მანამ ფეხებმა გამიძლეს, ვიარე. ამინდიც კარგი იდგა. სადაც დამიღამდებოდა, იქ გამითენდებოდა—მთაში, ბარში. აქ ისე ჩამოვედი, არავისგან ნამცეცი წყენაც არ მიგრძვნია. (ამ ხნის განმავლობაში თარჯიმანი ამერიკელ მრჩეველს უთარგმნის. ისიც რაღაცას ამბობს, თარჯიმანი ქაღალდზე წერს და პოლიციის უფროსს გადასცემს).

**უფროსი**—(წაიკითხავს)—გეკითხებიან, ერზინჯანიდან რამდენ თვეში ჩამოხვედიო.

**სათილმიში**—ვინ მეკითხება, ბეი?

**უფროსი**—როგორ თუ ვინ გეკითხება? ვინ უნდა გეკითხებოდეს? რა თქმა უნდა, მე გეკითხები.

**სათილმიში**—სამ თვეში, ბეი... არა, ოთხ თვეში.

**უფროსი**—ველარ გავიგე, სამში თუ ოთხში?

**სათილმიში**—თქვენს სიტყვაზე იყოს, ბეი, რამდენსაც თქვენ იტყვით.

**უფროსი**—ბიჭოს, ეს რასა ჰგავს? ვის ამასხარავებ!

**სათილმიში**—თქვენი ფეხის მტვერი ვიყო, ბეი! თქვენი ბრწყინვალების გამასხარავებას აბა, როგორ გავბედავ?!

**უფროსი**—სამი თუ ოთხი? მართალი მითხარი!

**სათილმიში**—ცოტა მადროვე, მოვიფიქრო, ბეი... სამნახევარზე ცოტა მეტი. (თარჯიმანი კიდევ გადასცემს ქაღალდს პოლიციის უფროსს).

**უფროსი**—(კითხულობს)—ახლა აი, რა: ოღონდ არ დაფიქრდე, ისე მითხარი—კომუნისტებიდან ვის იცნობ?

**სათილმიში**—არაფერი ვიცი... ვერ გავიგე რას მეუბნები...

**უფროსი**—სტყუი...

**სათილმიში**—ღმერთმა დამიფაროს... როგორ გავბედავ?! (თარჯიმანი კიდევ გადასცემს ქაღალდს პოლიციის უფროსს)

**უფროსი**—(კითხულობს)—მომიტანეთ მაგისი საზანდარი.

**სათილმიში**—საზანდარი შენმა ხალხმა გამიტეხა, ბეი... ვაი ჩემს თავს.

**უფროსი**—ძალიან კარგად მოქცეულან. (პოლიციელს) ხუთ წუთში! გაიგე?! გაიქეცი და ხუთ წუთში საზანდარი გააჩინე. (პოლიციელი გადის)

**სათილმიში**—ჩემთვის თუ გინდა, ბეი, სხვის საზანდარზე მე ვერ დავუკრავ.

**უფროსი**—დაუკრავ, როცა გიბრძანებენ, დაუკრავ. ასე სურთ.

**სათილმიში**—ვის სურს, ბეი?

**უფროსი**—როგორ თუ ვის სურს?! მე მსურს!

**სათილმიში**—რა უნდა დავუკრა, ბეი?

**უფროსი**—რა დაუკრას?

**თარჯიმანი**—მე მეკითხებით? შევეკითხო?

**უფროსი**—ა-არა, შენ არ გეკითხები... ამ მაწანწალას ვეკითხები. (სათილმიშს) გეტყვი, რაც უნდა დაუკრა, გაიგე?!

**სათილმიში**—გავიგე, ბეი! (ამერიკელი რაღაცას ეუბნება თარჯიმანს. თარჯიმანი პოლიციის უფროსს გადაუჩურჩულებს)

**უფროსი**—ძალიან კარგი. (სათილმიშს), მაშ შენ ერზინჯანელი ყოფილხარ, ჰა?

**სათილმიში**—ერზინჯანელი ვარ, ბეი.

**უფროსი**—ფეხზე რას დგახარ? დაჯექი!

**სათილმიში**—როგორ იქნება, ბეი? თქვენი ბრწყინვალების წინ, აბა, როგორ უნდა დავჯდე?

**უფროსი**—გეუბნებიან, დაჯექი! ამ სავარძელზე დაჯექი.

**სათილმიში**—თქვენი ფეხის მტვერი ვიყო, ბეი.

**უფროსი**—დაჯექი. (სათილმიში სავარძელში ჩაჯდება) ადექი! (სათილმიში დაბნეულად წამოდგება) კომუნისტებიდან ვის იცნობ?

**სათილმიში**—ღმერთმა დამწყევლოს...

**უფროსი**—ჩქარა თქვი! კომუნისტებიდან ვის იცნობ? ფული ვინ მოგცა? მიპასუხე!

**სათილმიში**—არაფერი გამეგება... ვისზე მეკითხები, ბეი?

**უფროსი**—მშვიდობის მომხრეებიდან ვის იცნობ?

**სათილმიში**—არ ვიცი, ბეი...

**უფროსი**—ისმაილს იცნობ? ხატჩეს იცნობ? ნურის იცნობ?

**სათილმიში**—ნურის ვიცნობ, ბეი...

**უფროსი**—საიდან? როდის ხვდებოდით ერთმანეთს?

**სათილმიში**—ერთი წლის წინათ... ერზინჯანში.

**უფროსი**—ერზინჯანში, აჰა, მაშ იმან ჩაგითრია ამ საქმეში? ფული რამდენი მოგცა?

**სათილმიში**—ფული რომ ჰქონოდა გალატაკებულ ნურის, ბეი, რაღა უჭირდა, ხარს იყიდდა... კავში თავის ბებრუხანას აღარ შეაბამდა...

**უფროსი**—შენ ვისზე ლაპარაკობ?

**სათილმიში**—იმას მოგახსენებდი, ბეი, რომ ჩვენს საწყალ ნურის შარშან ხარი მოუკვდა... მეორეს როგორღა იყიდდა... ადგა და ხვნის დროს კავში თავის ბებრუხანა ცოლი შეაბა...

**უფროსი**—შენ რომელ ნურიზე ლაპარაკობ?

**სათილმიში**—ჩვენს მეზობელ სოფელში ცხოვრობს, ბეი, სარიჯანში... ჩემი ბიძაშვილი... ბოგანო კაცია. შარშან იმას... (პოლიციელს საზანდარი შემოაქვს).

**უფროსი**—ხმა ჩაიკმინდე! აიღე ეს საზანდარი და დაუკარი. რაც გინდა, ის დაუკარი. დაუკარი და იმღერე. აბა, ცოცხლად, ჩვენ გისმენთ.

**სათილმიში**—თქვენი ფეხის მტვერი ვიყო, ბეი... ფეხზე დგომელა დაკვრა არ შეიძლება.

**უფროსი**— დაჯექი.

**სათილმიში**—დავჯდებოდი, ბეი, მაგრამ მაშინვე რომ მომახლი ადექიო!

**უფროსი**—აბა, აბა, ნუ გააბი... დაჯექი და დაიწყე. (სათილმიში ჯერ მომართავს საზანდარს, მერე დაუკრავს და დაამღერებს ერზინჯანულ სიმღერას. თარჯიმანი ქაღალდს გადასცემს პოლიციის უფროსს)

ერზინჯანში ჩიტია,
ფრთაზე ვერცხლი ჰკიდია,
წახვედი და არ დაბრუნდი,
ჩემი ცოდვა გკიდია.

**უფროსი**—(წაიკითხავს ქაღალდს)—არა... რაღაც ანატოლიურ სიმღერას მღერის. მეც არ ვიცი რა არის. ახლავე ვამღერებ იმ სიმღერას, (სათილმიშს) ბერიკაცო...

**სათილმიში**—(შეწყვეტს სიმღერას) მიბრძანე, ბეი.

**უფროსი**—ეს არ გვინდა. ის გვიმღერე, მეორე...

**სათილმიში**—რომელი, ბეი?

**უფროსი**—აი, რისთვისაც დაგაპატიმრეს ყავახანაში.

**სათილმიში**—ახლავე, ბეი. (დაიწყებს საზანდარის მომართვას და ცოტა ხნის შემდეგ სიმღერას წამოიწყებს)

სტალინის სიბრძნემ გაანათა ქვეყნიერება,
მას მიზნადა აქვს ხალხს აჩუქოს ბედნიერება,
ჩაგრული ხალხი, ლატაკები, მას ებრალება,
საწყალ ხიჯრაანს მისი ნახვა სურს, ენატრება!

მთელი მსოფლიო გაიძახის იმის დიდებას,
იმედის ცეცხლი მისგან ყველას წაეკიდება;
მისი წამალით ჩაგრულები განიკურნება,
საწყალ ხიჯრაანს მისი ნახვა სურს, ენატრება.



**უფროსი**—სულ ეს იყო?

**სათილმიში**—სულ ეს იყო, ბეი.

**უფროსი**—გესმის მერე, რას მღერი? ეს რა სიმღერაა?

**სათილმიში**—სიმღერის კილო ძველი გახლავთ, სიტყვები კი მე თვითონ შევთხზი.

**უფროსი**—ამ ბრიყვს შეხედე! (თარჯიმანი რაღაცას გადაუჩურჩულებს პოლიციის უფროსს). მართალი თქვი, ვინ შეთხზა ეს ლექსი.

**სათილმიში**—მე თვითონ, ბეი.

**უფროსი**—სიმართლე მითხარი-მეთქი... შენ როგორ შეთხზავდი ასეთ სიტყვებს?!

**სათილმიში**—რატომაც არა, ბეი, რაღაი თორმეტი წლისა გავხდი, სულ მე ვთხზავ ლექსებს, თორმეტი წლისა ვიყავი, როცა ჩემმა განსვენებულმა ოსტატმა ხიჯააბმა ხიჯრაანი შემარქვა...

**უფროსი**—ჯანდაბას შენცა და შენი ოსტატიც! ვერა ხედავ, რომ აშკარა კომუნისტურ პროპაგანდას ეწევი, ნუთუ არ იცი, რომ ეს საქმე სახრჩობელამდე მიგიყვანს!

**სათილმიში**—შენი ფეხის მტვერი ვიყო, ბეი... კაცი არ მომიკლავს, არავისთვის არაფერი წამირთმევია, არავინ შემიბღალავს....

**უფროსი**—მაგას ისა სჯობდა, მოგეკლა ვინმე.

**სათილმიში**—ღმერთმა დამიფაროს, ბეი...

**უფროსი**—მაშ, ერზინჯანიდან მოკიდებული, მთელს გზაზე ამ პროპაგანდას ეწევი, არა?

**სათილმიში**—ღმერთმა დამიფაროს, ბეი... არაფერი მაგის მსგავსი არ გამიკეთებია...

**უფროსი**—მაშ სოფლის ყავახანებში სულ ამ სიმღერას მღეროდი, არა? დილიდან საღამომდე?

**სათილმიში**—სხვა სიმღერებსაც ვმღეროდი, ბეი... ამასაც ვმღეროდი.

**უფროსი**—სამნახევარი თვე დაწანწალებდი სოფელ-სოფელ და ჩვენთვის არავის არაფერი მოუხსენებია! არავის არ გადაუციხარ ჟანდარმერიისათვის!

**სათილმიში**—რას მერჩოდნენ, ბეი? არ მომიპარავს, არ მომიკლავს...

**უფროსი**—ხმა ჩაიკმინდე! მიწა გაგისკდეს. ბრიყვო! ხეპრევ! წარმოუდგენელი ამბავია—მთელი ანატოლია შემოიარა და სულ ამას გაიძახის—სტალინ! სტალინ!

**სათილმიში**—მთელი ანატოლია არ შემომივლია, ბეი...

**უფროსი**—ხმა ჩაიკმიდე! (უფროსი კიდევ მიიღებს თარჯიმანისაგან ქაღალდს, კითხულობს) თუ იცი, მაინც, ვინ არის სტალინი?

**სათილმიში**—გამიგონია... გამიგონია...

**უფროსი**—ვისგან გაგიგონია?

**სათილმიში**—ღმერთი გამირისხდეს, ბეი, თუ მახსოვდეს, ვისგან... აბა, შენ თვითონ რას უპასუხებ, ვინმემ რომ გკითხოს, მამის სახელი პირველად ვისგან გაგიგონიაო? გაგახსენდება განა?

**უფროსი**—მაშ, სტალინი ჩვენი მამა ყოფილა!

**სათილმიში**—შენი რა მოგახსენო, და ჩვენთვის კი მართლაც მამაა...

**უფროსი**—შენ ხომ მუსულმანი ხარ!

**სათილმიში**—ნუ ცხარობ, ბეი... შენი ფეხის მტვერი ვიყო. სტალინი ჩვენი მამაა. რომ მკითხოთ, ბეი, ის არის ნამდვილი ხიზირ ალეიხუსელიამი.

**თარჯიმანი**—უკაცრავად, მაგრამ როგორ ვუთარგმნო ამერიკელს ხიზირ ალეიხუსელიამი?

**უფროსი**—მე საიდან უნდა გითხრა? მაგათ იქნება არც კი ჰქონდეთ ამისთანა რამე! ასე აუხსენი—ხიზირი... ხიზირი... ჩვენი ხალხის ლეგენდური გმირია... მუდამ გაჭირვების დროს შველის ხალხს.

**თარჯიმანი**—სწორედ ასე ავუხსნი.

**უფროსი**—რას გაშტერებულხარ?

**სათილმიში**—ისე, ფიქრმა გამიტაცა... იმას ვფიქრობდი, ვინ არის ეს უცხოელი, თურქული რომ არ ესმის.

**უფროსი**—შენმა სტალინმა იცის თურქული?

**სათილმიში**—(დაბეჯითებით)—ისეთი ენა არ არსებობს სტალინმა რომ არ იცოდეს. სამოცდათორმეტი ენა იცის.

**უფროსი**—ოჰო, ახლა მე მიწევ აგიტაციას?

**სათილმიში**—ღმერთმა დამიფაროს, ბეი...

**უფროსი**— დაიცა! მე შენ გიჩვენებ! (თარჯიმანი რაღაცას წასჩურჩულებს უფროსს) კარგი. (პოლიციელს) გაიყვანეთ და კამერა-აკლდამაში შეაგდეთ. (სათილმიშს) იცი შენ, რა არის ეს აკლდამა?

**სათილმიში**—ერზინჯანში, ბეი, მეჩეთშია აკლდამა.

**უფროსი**—ეს იმას არა ჰგავს. ცხვირწინ აგინთებენ ათასსანთლიან ნათურას. ვერ დაჯდები, ვერ გაინძრევი—უნდა იდგე სვეტივით, არც პური, არც წყალი, გაიგე?

**სათილმიში**—გავიგე, ბეი.

**უფროსი**—გაიყვანეთ. (პოლიციელი ხელისკვრით გააგდებს სათილმიშს)

**თარჯიმანი** – მისტერ სმიტი ბრძანებს, მაგის გასამართლება არ ღირსო. ამით უფრო შევუწყობთ ხელს პროპაგანდის გავრცელებას. ჩვენთვის ვერაფერი ხელსაყრელი იქნება, ეს უვიცი გლეხუჭა კომუნისტების აგენტად გამოვაცხადოთო.

**უფროსი**—აბა, რა ვუყოთ? ორმოც წელიწადს ხომ არ გვეყოლება აკლდამაში?!

**თარჯიმანი** – მისტერ სმიტი გირჩევთ, საგიჟეში გაგზავნეთო. ყველაზე უფრო მახვილგონივრული ეს იქნებაო.

**უფროსი**—საგიჟეში! ასე იყოს, რა მენაღვლება! ეგდოს იქ, მანამ ჩაძაღლდებოდეს. (შემოდის პოლიციელი). აბა, ჩვენი სახელგანთქმული მწერალი შემოიყვანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**პოლიციელი**—ბატონი ჰუსეინ ჰალიმ-ბეი?

**უფროსი**—ჰო. იმედი მაქვს კარგად მოეპყრობოდით!

**პოლიციელი**—როგორც ნაბრძანები გვქონდა...

**უფროსი**—კარგი, წადი... (პოლიციელი გადის)

**თარჯიმანი**—მისტერ სმიტის აზრით, ამ აშუღს რაღაც კავშირი აქვს გლეხთა აჯანყებებთან... აი, მემამულეებს რომ მიწები დასტაცეს – იმას გულისხმობს. ასე ბრძანებს, ეს ყველაფერი პოხიერი ნიადაგია კომუნიზმის გასავრცელებლადო. ასე ბრძანებს, კომუნისტების წინააღმდეგ ყველაზე მკაცრი ზომები უნდა მივიღოთო.

**უფროსი**—სხვათა შორის, მეჯლისში უკვე გამოჩნდნენ კომუნისტების სიკვდილით დასჯის კანონის მომხრეები.

**თარჯიმანი**—მისტერ სმიტი ბრძანებს, ამ დაკითხვას ნუ მითარგმნითო. მას სურს პროკურორის თანაშემწედ გამოაცხადოთ.

**უფროსი**—კეთილი. (პოლიციელს შემოჰყავს ჰუსეინი. უფროსი წამოდგება)—მობრძანდით, ბატონო ჰუსეინ. გვაპატიეთ, რომ გაწუხებთ, მაგრამ რა გაეწყობა. სამსახურებრივი მოვალეობაა...

**ჰუსეინი**—ჰო, გასაგებია.

**უფროსი**—(სმიტზე მიუთითებს) ჩვენს საუბარს პროკურორის თანაშემწე რეჯებ-ბეიც დაესწრება... (ჰუსეინი და სმიტი თავს უკრავენ ერთმანეთს. თარჯიმანზე მიუთითებს) ეს ბატონი დაკითხვის ოქმს შეადგენს. დაბრძანდით, გთხოვთ (ჰუსეინი პოლიციის უფროსის პირდაპირ დაჯდება). თუ მეხსიერება არ მღალატობს, თქვენ ერთხელ ბალზე გაგიცანით.

**ჰუსეინი**—დიახ.

**უფროსი**—დიდი თაყვანისმცემელი ვარ თქვენი ტალანტისა. უდიდესი სიამოვნებით ვკითხულობ თქვენს სტატიებს და, განსაკუთრებით, მოთხრობებს. მარტო მე კი არა ჩემი ცოლიც, ჩვენი ქალიშვილიც—მთელი ჩვენი ოჯახი აღტაცებულია თქვენით.

**ჰუსეინი**—აჰ, ზედმეტად მაქებთ, ბატონო.

**უფროსი**—სრულ სიმართლეს მოგახსენებთ, ჰუსეინ-ბეი. სწორედ ასეა. ისეთი ადამიანი არ მეგულება თურქეთში, რომ დიდად არ აფასებდეს იმ სიახლეს, რაც თქვენ ჩვენს ლიტერატურაში შეიტანეთ.

**ჰუსეინი** — ნუ გამაწითლებთ, ბატონო.

**უფროსი**—ოჰ, რასა ბრძანებთ, ეს არის სრული ჭეშმარიტება. მთელი ჩვენი ხალხი თქვენით ამაყობს—როგორც მწერალი, როგორც პატრიოტი, როგორც ერის ჭეშმარიტი შვილი... ამიტომაც თქვენი ბინის გაჩხრეკა დღეს... ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვწუხვარ! მაგრამ რას იზამ, თავზევით ძალა არ არის! ხომ იცით სამსახური! ჩვენი ხელობა ისეთია, რომ... იმედი მაქვს უკადრისად მოპყრობას ვერ გაგიბედავდნენ, მე თვითონ მივეცი ბრძანება.

**ჰუსეინი**—თქვენი ხალხი ძალიან თავაზიანად მომექცა.

**უფროსი** — დიდად მიხარია. მაპატიეთ, რომ იძულებულნი გავხდით, რამდენიმე საათს გაგვეჩერებინეთ აქ.

**ჰუსეინი**—რა გაეწყობა, ასეთია თქვენი მოვალეობა.

**უფროსი**—ოო, ნამდვილს ბრძანებთ, მოვალეობა, ჰუსეინ-ბეი! ზოგი რამ უნდა გკითხოთ, და შემდეგ თავისუფალი იქნებით. როგორც ვიცი, თქვენი სტატიები იბეჭდებოდა მშვიდობის მომხრეთა საზოგადოების ჟურნალში?

**ჰუსეინი**—სრული სიმართლეა.

**უფროსი**—ძვირფასო ჰუსეინ-ბეი, ბოლშევიკების აგენტებს, კომუნისტებს, შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ ისეთი ღირსეული შვილი სამშობლოსი, ისეთი პატივცემული მწერალი, როგორიც ბრძანდებით...

**ჰუსეინი**—ბავშვი ხომ არ გგონივართ. არავისაც არ შევუყვანივარ შეცდომაში. საზოგადოების ორგანიზატორები ჩემი ძველი მეგობრები არიან. პატიოსანი, სამშობლოს ერთგული შვილები. ხოლო იმათგან კომუნისტი...

**უფროსი**—ჰო, ვინ? ვინ არის იმათგან კომუნისტი? ხატჩე? ნური? გიუზინი? სულეიმანი?

**ჰუსეინი**—არ ვიცი, ვინ არის იმათგან კომუნისტი.

**უფროსი**—მაგას ვერ დაგიჯერებთ. ჰუსეინ-ბეი, შეუძლებელია, რომ არ იცოდეთ. რა თქმა უნდა, იცით.

**ჰუსეინი**—არ ვიცი.

**უფროსი**—სამაგიეროდ, ჩვენ ვიცით. თვითონვე გამოტყდნენ სად ღებულობდნენ ფულს, დირექტივებს...

**ჰუსეინი**—არსადაც არ ღებულობდნენ არც ფულს, არც, დირექტივებს. შეუძლებელია, რომ ეს ეთქვათ.

**უფროსი**—მოგატყუეს თქვენ! მაშ, არა გსურთ მართლმსაჯულებას დაეხმაროთ?

**ჰუსეინი**—მზადა ვარ ყველაფერი გითხრათ, რაც კი ვიცი.

**უფროსი**—იმათგან რომელია დაკავშირებული იატაკქვეშეთის კომუნისტურ პარტიასთან?

**ჰუსეინი**—აკი გითხარით, არ ვიცი-მეთქი!

**უფროსი**—რომ იცოდეთ, იტყოდით?

**ჰუსეინი**—არა.

**უფროსი**—ყოჩაღ, ჰუსეინ-ბეი, მაგარი კაცი ყოფილხართ! აი, ეს მომწონს. იქნებ ეს მაინც გვითხრათ, ჰუსეინ-ბეი, ისმაილი სად იმყოფება?

**ჰუსეინი**—წარმოდგენაც კი არა მაქვს. მე მხოლოდ ის ვიცი...

**უფროსი**—ასე? თქვენ მხოლოდ ის იცით, რომ...

**ჰუსეინი**—მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მოწოდების გამოქვეყნებამდე ისმაილმა მოითხოვა გამგეობიდან გასვლა და საზოგადოებასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა.

**უფროსი**—ესე იგი, გუმანითაც კი ვერ გვეტყვით, სად იმალება ისმაილი?

**ჰუსეინი** – ვერა, წარმოდგენა არა მაქვს.

**უფროსი**—ძალიან კარგი. (პოლიციელს შემოაქვს ჩაი. პოლიციის უფროსი სინიდან ჭიქას აიღებს და ჰუსეინთან მივა) სულ ეს იყო, ამაზე შეგაწუხეთ, ჰუსეინ-ბეი, კიდევ და კიდევ ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის. ჩაის ხომ არ მიირთმევთ?

**ჰუსეინი**—მადლობელი ვარ. (წამოდგება და ხელს გაიწვდის ჩაის ჩამოსართმევად).

**უფროსი**—(ცხვირპირში შეასხამს ჩაის) ძაღლის შვილო! „თქვენობით“ დაუწყეს ლაპარაკი და მართლაც კაცად წარმოიდგინა თავი. (დათუთქულ სახეზე ჰუსეინი ხელს მიიფარებს) თავისი ხელით მიართვეს ჩაი ამ ჩვენს ბატონს! (სახეში შემოჰკრავს ჰუსეინს. წიხლს ამოკრავს. ჰუსეინი გამოერკვევა, თავდასაცავად ემზადება, მაგრამ ამ დროს მეორედაც ამოკრავენ წიხლს ფერდში. ამოიკვნესებს და დავარდება) მე შენ აგაჭიკჭიკებ ბულბულის ენაზე. (უფროსი მაგიდასთან მივა და ელექტრონის ღილს ხელს დააჭერს, შემოდის სამი პოლიციელი) გაათრიეთ ეს მძორი! აკლდამაში შეაგდეთ! (პოლიციელებს გაჰყავთ ჰუსეინი, რომელიც ტკივილებისაგან იგრიხება. სმიტი რაღაცას გადაულაპარაკებს თარჯიმანს)

**თარჯიმანი**—მისტერ სმიტი ბრძანებს—ცოტა არ იყოს აჩქარდითო.

**ჰუსეინი**—(კარებიდან დაუსხლტება პოლიციელებს) გარეწარო! განა არ ვიცოდი, რომ ეგ შენი ბატონი იყო!

თარგმნა **ვახტანგ ჭელიძემ**

ფ ა რ დ ა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოკლედ ყველაფერზე

## მცენარეთა ზრდა ხელოვნურ სინათლეზე

ამჟამად საბჭოთა მეცნიერები იკვლევენ, თუ რა გავლენას ახდენს ხელოვნური სინათლე სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდაზე. ეს საინტერესო ცდები წარმოებს პროფესორ ბ. ს. მოშკოვსკის მეთაურობით. ლაბორატორიებში ჩატარებული ცდებით დადგინდა, რომ პომიდორი, კიტრი, ყურძენი, მარწყვი, სხვადასხვა ძირნაყოფა და სხვა კულტურები ხელოვნური სინათლის ზეგავლენით გაცილებით უფრო სწრაფად იზრდებიან, ვიდრე ბუნებრივ სინათლეზე.

პროფესორ ბ. ს. მოშკოვსკის და მისი თანამშრომლების მიერ შემუშავებული მეთოდი ფართოდ დაინერგება სოფლის მეურნეობაში.

## ბგერის იზოლაცია

ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: ერთ-ერთ ოთახში გრიალებს რადიომიმღები. მისმა პატრონმა „დაიჭირა" მხიარული მუსიკა და მზად არის მთელი ღამე გაათენოს მის მოსმენაში. მეზობელ ოთახში კი მოსწავლე ხვალინდელი გამოცდისთვის ემზადება. მისთვის ეს მუსიკა სრულებით არ არის გამამხიარულებელი, აწუხებს ის მეზობელ მუშასაც, რომელიც ხვალ დილით ადრე უნდა გავიდეს სამუშაოზე.

წინათ სქელ კედლებს აგებდნენ და ამით აღწევდნენ ბგერის იზოლაციას. რაც უფრო მძიმე კონსტრუქციისაა კედელი, მით უფრო სუსტად გადის მასში ბგერა.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა ინჟინრების მიერ შემუშავებულია მთელი რიგი მსუბუქი მასალა, რომელთაც ბგერის იზოლაციის უნარი გააჩნიათ.

ასეთებია, მაგალითად: პენოსილიკატი, ორგალიტი, ნაკეთობანი მსუბუქი მინერალური ბამბისგან, სინთეტიკური ფისი—პენოპლასტი და სხვ.

აი, ასეთი მასალებისგან იქნება აგებული მომავალში ჩვენი სახლების კედლები და ტიხრები. იატაკში დატნეული ასეთი მასალა დაიცავს ქვედა სართულს ფეხის ხმისგან, მძიმე საგნის დავარდნითა და ავეჯის გადაადგილებით გამოწვეული ხმაურისგან.

## მტაცებელი მცენარეები

მტაცებელი ბევრია ცხოველთა სამყაროში, მაგრამ არსებობენ აგრეთვე მტაცებელი მცენარეები. ბუნებაში ასეთი მცენარეების 500-ზე მეტი სახესხვაობაა. აი, ერთ-ერთი მათგანი--მისი სახელი სარაცენიაა.

სარაცენია იზრდება ჩრდილოეთ ამერიკის ჭაობებში. ის ყურადღებას იპყრობს თავისი უცნაური ფოთლებით, რომლებიც ზურგით წვანან მიწაზე, მცენარის ყვავილოვან ღეროს ირგვლივ გვირგვინისებურად შემოკრებილნი. თითოეული ფოთოლი მოგვაგონებს ტომარას, რომლის ორივე ბოლო შევიწროებულია. „ტომარაში" ჩამავალ ხვრელთან გამოშვერილია მწვანე ნიჟარისებური ფურცლის ფირფიტა სისხლისფერი ძარღვებით. ფირფიტის ტაფობში გროვდება წვიმის წყალი, საიდანაც ის ჩაჟონავს ტომარის ფსკერზე და ქმნის პატარა ტბას. „ტბა" ყველაზე მშრალ ამინდებშიც არ შრება.

როგორც კი შენიშნავენ მწერები ტომარის შესასვლელთან გამჭვირვალე წვეთებს, რომლებიც მათთვის საუკეთესო საკვებია, შესასვლელთან დასხდებიან. შემდეგ უფრო და უფრო ღრმად ეშვებიან „ტომარაში". ამ გზაზე სიარული საბედისწეროა, ფოთლის სრიალა კედლებზე ფეხის მოკიდება შეუძლებელია. უეცრად მათ ფეხი უცურდებათ, „ტომრის" ფსკერზე ჩამდგარ „ტბაში" ცვივიან და იხრჩობიან.

მიზანი მიღწეულია. უბედურ მსხვერპლთა გვამები იხრწნება და სარაცენიას საუკეთესო საკვები ხდება. გახრწნილ ნივთიერებას მტაცებელი შეიწოვს. ტომარაში რჩება მწერების მხოლოდ მკვრივი, მცენარის „კუჭისათვის" ძნელად მოსანელებელი ნაწილები.

ასე იღუპება მწერი. თუ ცოტა ხნის წინ სარაცენიას დაუპატიჟებელი სტუმრები მის ტკბილ წვენს შეექცეოდნენ, ახლა პირიქით, თვით სარაცენია შეექცევა მათ.

## ტელევიზორი „ტ-3"

ყველა თქვენგანს მოუსმენია კონცერტი რადიომიმღების საშუალებით, ყველას გაუგონია ტელევიზორის შესახებ, რომლის ეკრანზე კონცერტში მონაწილე მსახიობებიც ჩანან, ყველას გინახავთ ე. წ. რადიოლა, რომლითაც გადმოცემების მოსმენაც შეიძლება და პატეფონის ფირფიტების დაკვრაც.



ამ ბოლო დროს კი საბჭოთა ფაბრიკებმა გამოუშვეს ახალი ტელევიზორი „ტ-3", რომელიც თავისებურ „რადიოკომბაინს" წარმოადგენს; მასში ერთდროულად მოთავსებულია ტელევიზორი, რადიომიმღები და პატეფონის ფირფიტების დასაკრავი მოწყობილობა.

## „ვერცხლისებრი ჭერამი"

გინკგოუ (უფრო სწორი იქნებოდა—გინ-კოუ) ჩინურად ნიშნავს „ვერცხლისებრ ჭერამს".

გინკგოუ უზარმაზარი ხეა, რომლის სიმაღლე 40 მეტრს აღწევს, შტამბის წრეხაზი კი—4 მეტრს. ნაყოფი, გრძელ შტოებზე წყვილ-წყვილად განლაგებული, მოყვითალო, მაგარკურკიანი და მომცრო აქვს.

150 მილიონი წლის წინათ ეს ხე თითქმის მთელი დედამიწის ზურგზე იყო გავრცელებული, — შპიცბერგენზე და გრენლანდიაშიც კი.

მონღოლები გინკგოუს საღმრთო ხედ თვლიდნენ და უვლიდნენ მას.

ველური სახით ეს ხე ახლა პატარ-პატარა ჭალებად გვხვდება ჩინეთში, კორეასა და იაპონიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა






## ქართველი სახალხო გმირები

იმათ სახელებს, ვის გმირობასაც ამ წიგნში მოთავსებული ხალხური ლექსები და პოემები მიეძღვნება, საქართველოს ვრცელ მატიანეებში ვერ ამოიკითხავს კაცი. ოფიციალური ისტორიკოსები ხსენების ღირსადაც არ თვლიდნენ ხალხის წიაღიდან გამოსულ გმირებს, იმ გმირებს, რომლებიც გარეშე მტრებისაგან საკუთარი მკერდით იცავდნენ სამშობლოს და ამავე დროს ამოღებული ხმლით ებრძოდნენ ქვეყნის შიგნით გაბატონებულ უსამართლობას.

მაგრამ ხალხი არ ივიწყებდა თავის გმირებს, იგი ქმნიდა თავისებურ ისტორიას; ქართველი მეფანდურეები და მესტვირეები აქებდნენ და ადიდებდნენ მშრომელი ხალხის ღირსეულ შვილებს. ასე შეიქმნა ათასობით შესანიშნავი ხალხური ლექსი, ბალადა, პოემა.

სახალხო გმირთა ნამოღვაწრის და მათ შესახებ შექმნილი პოეზიის ნამდვილი დაფასება მხოლოდ ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ამ მიზანს ემსახურება ქსენია სიხარულიძის მიერ შედგენილი და რედაქტირებული კრებული „ქართველი სახალხო გმირები", რომელიც ახლახან გამოსცა „საბლიტგამმა".

კრებული იმით არის საინტერესო, რომ მისი მკითხველი, თითქმის ყველა ქართველი სახალხო გმირის შესახებ შექმნილ ლექსსა თუ პოემას ეცნობა—ზეზვა გაფრინდაულიდან და ძალლიკა ხიმიკაურიდან დაწყებული აფრასიონ მერკვილაძემდე.

სახალხო გმირთა გალერეას ამშვენებს უსამართლობასთან გმირულ ბრძოლაში დაღუპული არსენა ოძელაშვილი.

საბჭოთა ხელისუფლებამ სიმართლისათვის მებრძოლ არსენას ღვაწლი დიდად დააფასა და მას შესანიშნავი ძეგლი დაუდგა საქართველოს ძველ სატახტო ქალაქ მცხეთაში, სადაც ვერაგულად იქნა მოკლული ეს უბადლო გმირი.

კრებულში შეტანილი ლექსები აქებენ და ადიდებენ მამუკა ქალანდაურის, ელუმი თუღუმიშვილის, გელა ნათელაშვილის, ზვიადა ლობჟანიძის, გულითად გავაშელაშვილის, სოლომონ ბუტულაშვილის, ციცკას, სოლოღას, სისონა დარჩიას, სიმონა დოლიძის და სხვათა გმირობას.

ვაჟკაცების გვერდით ამაყად დგანან ქართველი გმირი ქალები: დედაბერი ქრისტინე, თამარ ვაშლოვანელი, მაია წყნეთელი და თინა წავკისელი, რომლებიც ვაჟკაცურად იბრძოდნენ გლეხი ქალის მანდილის პატიოსნებისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

აი, როგორი გულითადი სიყვარულით გვიხატავს ქართველი ხალხი თამარ ვაშლოვანელის საფლავს:

„თრიალეთს, დიდსა საყდარში
თამარი ასაფლავია,
მისებრ ერთგული, მამაცი
ჩვენ არ გვყოლია ქალია".

კრებულს წამძღვარებული აქვს რედაქტორის—ქსენია სიხარულიძის წინასიტყვაობა, რომელიც მკითხველს გაუადვილებს კრებულში მოთავსებული მასალების შესწავლას.

ეს კრებული ჩვენი ნორჩი მკითხველებისათვის კარგ საჩუქარს წარმოადგენს.

გ. შატბერაშვილი

---

## დავით შამათავა—„მოთხრობები"

დავით შამათავას ჩვენი საბავშვო ჟურნალების მკითხველთა რამდენიმე თაობა იცნობს პატარ-პატარა, სადად და მიმზიდველად დაწერილი მოთხრობებით. ამ მოთხრობებს ხშირად გაუხარებია, აუღელვებია და ჩაუფიქრებია ნორჩი მკითხველი.

ჩვენი ბედნიერი ბავშვების ცხოვრება, სკოლა და ოჯახი, დიდი სამამულო ომი, ჩვენი ქვეყნის გმირული წარსული,—აი, დ. შამათავას მოთხრობების თემა.

მოთხრობა „ნათესავები" დიდი სამამულო ომის პერიოდს ეხება. მასში, სულ სამიოდე გვერდზე ამაღელვებლადაა ნაამბობი, მოულოდნელად როგორ შეხვდა რუსი სამხედრო ექიმი თავის ცოლ-შვილს სტუმართმოყვარე ქართულ ოჯახში. „დასაწყისი გაზაფხულისა" გვიხატავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეებს, როცა საქართველოსათვის დგებოდა ახალი ეპოქა და თებერვლის მიწურულში იწყებოდა ახალი ცხოვრების ნამდვილი გაზაფხული.

წიგნში მოთავსებული მოთხრობებიდან ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მოთხრობები: „დურგალი ჟორჟ ლაკური", „ბოჩოლა დაიკარგა", „მესაზღვრე" და „მეცისოვნის ვაჟი შალვა".

დ. შამათავას ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე მშვენიერი ლეგენდა და ზღაპარი, რომლებშიაც შექებულია სამშობლოსათვის თავდადებისა და სიყვარულის გრძნობა, დაგმობილია ადამიანის ცუდი თვისებები,—ბაქიაობა, ჯიუტობა, ტყუილის თქმა და სხვ.

სამწუხაროდ, დ. შამათავას არ დასცალდა განეხორციელებინა თავისი ყველა მხატვრული ჩანაფიქრი და კიდევ უფრო მეტი კარგი ნაწარმოები ეძღვნა ჩვენი მოზარდი თაობისათვის.

დ. შამათავა გარდაიცვალა 1950 წელს სრულიად ახალგაზრდა, შემოქმედებითი მომწიფების პერიოდში.

ამ დღეებში „საბლიტგამმა" დ. შამათავას მოთხრობები ცალკე წიგნად მიაწოდა ნორჩ მკითხველებს. ამ წიგნს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა სიამოვნებით წაიკითხავს.

ზ. ჭუმბურიძე

# ტექნიკა



## კაბელის მაძიებელი

თქვენ ქუჩაში ხშირად შეხვედრიხართ ასეთ სურათს: ერთ რომელიმე ადგილზე მუშები მოანგრევენ ასფალტს, ამოთხრიან მიწას, ჩავლენ ორმოში და შეაკეთებენ ელექტრონის ან სატელეფონო კაბელის დაზიანებულ ადგილს. შემდეგ ისევ მოაყრიან მიწას და ასფალტსაც მოაგებენ.

ზოგიერთ გამვლელს ძალზე უკვირს, საიდან იციან მუშებმა, რომ კაბელი სწორედ იმ ადგილზე იყო დაზიანებული?!

ამის გამორკვევისათვის შემდეგ საშუალებებს მიმართავენ; თუ საქმე შეეხება ისეთ კაბელს, რომელშიც ძლიერი დენი გადის, მაშინ ამ კაბელში ატარებენ მაღალი ძაბვის დენს, რის გამოც დაზიანებულ ადგილზე წარმოიშობა რკალი და ეს უკანასკნელი სწვავს იზოლიაციას. მიწის თხრას კი იწყებენ იქ, სადაც კვამლი ამოვა.

სატელეფონო კაბელის დაზიანების შემთხვევაში ასეთი მეთოდი არ გამოდგება, რადგან მაღალი ძაბვის დენის გატარება მთლიანად გაადნობს წვრილ სატელეფონო მავთულებს. ამიტომ სატელეფონო კაბელის დაზიანებული ადგილის აღმოსაჩენად ხმარობენ ე. წ. კაბელის მაძიებელს, რომელიც შედგება სპეციალური ინდუქტიური კოჭისაგან, გამაძლიერებელისაგან და ტელეფონის ყურმილისაგან. კაბელში ჩართავენ გენერატორს, რომელიც ბგერის სიხშირის ელექტრორხევებს იძლევა. კაბელში გადის ცვლადი დენი და თავის გარშემო ქმნის ცვლად მაგნიტურ ველს. ხელში მომარჯვებული ინდუქტიური კოჭით გაივლიან მიწაში ჩადებული კაბელის მიმართულებით და, სადაც ყურმილში მკვეთრად შესუსტდება ხმაური, დაზიანებული ადგილიც იქ იქნება.

## «მექანიკური თხუნელა»



თხუნელა ცოცხალი მიწისმთხრელი მანქანაა. მას შეუძლია წუთში 2 მეტრის სიჩქარით იმოძრაოს მიწის ქვეშ. კისრის კუნთების საშუალებით თხუნელა მიწის მთავარ მასას გვირაბის კედლებს ატკეპნის.

ამას წინათ საბჭოთა ინჟინერმა ტრებელევმა დაამთავრა თავისი „მექანიკური თხუნელას" მესამე მოდელის კონსტრუქცია. ახალგაზრდა ინჟინრებისა და მუშების დახმარებით მან შეძლო მის წინაშე მდგარი რთული ამოცანის გადაწყვეტა და შექმნა ახალი მეცნიერება — ტერადინამიკა (მიწის დინამიკა). ტრებელევის მანქანა შესაძლებლობას იძლევა მიწის ზედაპირის აუთხრელად იქნას გაყვანილი აირის, წყალსადენისა და სხვა მილები. ამ მანქანით აგრეთვე მიწის ღრმა ფენების გამოკვლევაც შეიძლება.

ამ მოდელს მართავენ რადიოს საშუალებით, და ინჟინრები უკვე ოცნებობენ „მიწისქვეშა ნავიგაციაზე".

სურათზე: „მექანიკური თხუნელას" პირველი მოდელი. მანქანის ცხვირზე გაკეთებულია ბურღი, რომელიც მტკიცე შენადნობისაგანაა დამზადებული; კუდზე კი პროპელერის მსგავსი მოწყობილობაა მიმაგრებული.

## სიგრილე ცხელ საამქროებში

ზაფხულის ცხელ დღეს სახესთან მარაოს, გაზეთის, ან მუყაოს საშუალებით ჩვენ ვფანტავთ და ვიცილებთ გამთბარ ჰაერს.

ცხელ საამქროებში კი (ბლუმინგის, მარტენის, ფერო-შენადნობისა და სხვ.) ასეთ „მარაოს" წარმოადგენს გამაგრილებელი ვენტილატორები. ეს საჰაერო შხეფები შეიძლება უფრო სასარგებლო გავხადოთ, თუ მოვიშველიებთ წყალს. უმცირეს წვეთებად ქცეული წყალი ესხურება მუშის ტანისამოსს, შემდეგ ორთქლდება და ჰქმნის სასიამოვნო სიგრილეს.

ჩვენმა ინჟინრებმა შეჰქმნეს გამაგრილებელი დანადგარი, რომელიც საგრძნობლად აადვილებს შრომას. დანადგარი შედგება ცენტრიდანული ვენტილატორისა და ექვსმეტრიანი ჰაერსადენისაგან. რომელიც გაკეთებულია ელასტური, მოქნილი ლითონისაგან.

ვენტილატორის მიერ შესრუტული ჰაერი, ჰაერსადენიდან გამოსვლის წინ, ნესტიანდება წყლის შხეფებით, რომელიც მერე ინტენსიურად ორთქლდება და ჰაერს აცივებს.

ახალი დანადგარი მარტივია, ადვილად შეიძლება მისი გადაადგილება და მოსახერხებელია ექსპლოატაციისათვის. მოქნილი ჰაერსადენი საშუალებას იძლევა, რომ ვენტილატორი ყოველთვის ახლოს დადგან მუშასთან. დანადგარი აუცილებელია მაღალი ტემპერატურის პირობებში მუშაობის დროს.

შრომის დაცვის ლენინგრადის ინსტიტუტის თანამშრომლებმა პ. უჩასტკინმა და ა. ლანდამ ამ დანადგარის შექმნისათვის უმაღლესი ჯილდო — სტალინური პრემია დაიმსახურეს.

## ავტომატური ნიშანსვეტი

გასულ საუკუნეში რუსმა მეცნიერმა სტოლეტოვმა აღმოაჩინა, რომ სინათლის მოქმედებით ზოგიერთ ლითონში წარმოიშობა ელექტროდენი. ეს მოვლენა შემდგომში ფოტო-ელემენტების სახით გამოყენებულ იქნა ტექნიკაში.

განვიხილოთ ფოტო-ელემენტის გამოყენების ერთერთი შემთხვევა. ორთქლმავალზე დამაგრებულია ნათურა, რომელიც პრიზმის საშუალებით სხივთა კონას მიმართავს განსაზღვრული კუთხით. როდესაც გზა თავისუფალია, ნათურის სხივები არავითარ გავლენას არ ახდენენ ორთქლმავლის მოძრაობაზე. მაგრამ თუ ნიშანსვეტი დაკეტილია, მაშინ მის ფრთაზე მიმაგრებული სარკე მაღლა იწევს და ირეკლავს ორთქლმავლის ნათურიდან გამოსულ სხივებს. არეკლილი სხივი კი გაივლის დამცველი აპარატის მეორე ხვრელში, სადაც მოთავსებულია ფოტო-ელემენტი. სინათლის მოქმედების გამო ფოტო-ელემენტში წარმოიშობა ელექტროდენი, რომელიც აამუშავებს რელეს და ორთქლმავალი ავტომატურად დამუხრუჭდება.

## მინის მომავალი

რა თქმა უნდა, წინათ გაუკვირდებოდათ ქვასავით მაგარი მინა რომ ენახათ. საბჭოთა მეცნიერებმა კი შესძლეს, ფოლადივით მაგარი მინის დამზადება. ასეთ მინას „სტალინიტს“ უწოდებენ.

მინის ერთერთი საუკეთესო თვისება მისი გამჭვირვალობაა. მაგრამ ზოგჯერ გამჭვირვალობა ხელს უშლის მის გამოყენებას. საჭიროა, მაგალითად, გვქონდეს „ნახევრად გამჭვირვალე“ მინა: სინათლე გადიოდეს მასში, მაგრამ გახედვა შეუძლებელი იყოს. ასეთი მინა დიდი ხანია არსებობს და ფართოდაცაა გამოყენებული.

საბჭოთა ინჟინრებმა შეიმუშავეს მინისგან აგურის დამზადების ტექნოლოგია. მინის აგური ატარებს მზის სხივებს, მაგრამ მასში გახედვა და რამეს დანახვა შეუძლებელია. მოსკოვში უკვე არის რამდენიმე ფაბრიკა, რომელთა კედლები ასეთი მინისგანაა ნაკეთები. ფაბრიკის შენობაში ისეთივე სინათლეა, როგორიც ქუჩაში, თუმცა კედელში რომ გაიხედოთ, ვერც გარედან შიგნით და ვერც შიგნიდან გარეთ, ვერაფერს დაინახავთ.






## შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.
ალ. გომიაშვილი — პიონერული სიმღერა ლენინზე (ლექსი) . . 2
ზ. შერაზადიშვილი — ჩვენ, ნორჩი ლენინელები (ლექსი) . . . 2
ან. ალექსინი — ორი პორტრეტი (მოთხრობა, თარგმნა მეჰი კანდელაკმა) . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3
მ. მაჭავარიანი — გილოცავ... (ლექსი) . . . . . . . . . . . . . 6
ნ. გურეშიძე — საახალწლო (ლექსი) . . . . . . . . . . . . . 6
მ. კეკელიძე — შამათი სამ სვლაში (მოთხრობა) . . . . . . . 7
ერ. ქარელიშვილი — ხალხის საყვარელი პოეტი (წერილი) . . 12
ნ. ნეკრასოვი — მოსწავლე (ლექსი, თარგმნა მაყვალა მრევლიშვილმა) . . . . . . . . . . . . . . . . . . . 13
რ. ელანიძე — სახელოვანი იუბილარი (წერილი) . . . . . . 14
გრ. აბაშიძე — ჩვენი სკოლა (ლექსი) . . . . . . . . . . . . . 15
საქართველოს საბავშვო სახლებში (ფოტონარკვევი რ. აკოფოვისა) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 16
ი. გრიშაშვილი — ნორჩ შემოქმედთა გაბაასება (ლექსი) . . 18
ალექსანდრე ფადეევი — საშკო (მოთხრობა, თარგმნა მიხეილ კაკაბაძემ) . . . . . . . . . . . . . . . . . . . 19
ნაზიმ ჰიქმეთი — აშუღი (სურათი პიესიდან „მოთხრობა თურქეთზე“, თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ) . . . . . . . . 24
მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . . . . . . . . . . . 29
გ. შატბერაშვილი „ქართველი სახალხო გმირები“ (წერილი) . 30
ზ. ჭუმბურიძე — დავით შამათავას „მოთხრობები“ (წერილი) . 30
ტექნიკა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 31
ჭადრაკი—მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა გროსმაისტერი (წერილი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . გარეკ. 3 გვ.

გარეკანის პირველ გვერდზე „ნორჩი მეთხილამურე“—ნახატი შ. ცხადაძისა.

გარეკანის მე-4 გვერდზე „საახალწლო ნაძვის ხე“ — ფოტოეტიუდი

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: გ. ფოცხიშვილის, გ. თოთიბაძის, გ. როინიშვილის, კ. მახარაძის, ზ. ხახუტაშვილისა და რ. სტურუას მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგიანი. სარედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии Январь № 1 1953. Тбилиси Ленина 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85. საბლიტგამი.

უე 01773 ტირაჟი 15.000 ხამომც. შეკვ. № 11 სტამბის შეკვ. № 66. ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის 14, გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ოვსეტ-მანქანაზე, რუსთაველის 42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭ ა დ რ ა კ ი

ოსტატობის კანდიდატის თ. გიორგაძის რედაქციით

## მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა გროსმაისტერი

ათი წლის წინათ, 1942 წელს, ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა სასახლის საჭადრაკო კაბინეტში მივიდა, პატარა შავთვალა ბიჭუნა და ითხოვა მიეღოთ იგი კაბინეტის წევრად. მან გამოთქვა სურვილი—ესწავლა ჭადრაკის თამაში პატარა პიონერი კაბინეტში ჩარიცხეს. ჭადრაკის ანბანის გაცნობისთანავე ბიჭუნა გაიტაცა ძველი თამაშის საიდუმლოებამ ისე, რომ ზოგჯერ სახლში მამა უმალავდა მას საყვარელ ჭადრაკის დაფას. მაგრამ ეს როდი აღმოჩნდა სერიოზულ წინააღმდეგობად. უკვე წლინახევრის შემდეგ ნიჭიერმა ბავშმა პირველი საკავშირო თანრიგი მოიპოვა. მალე ის გახდა თბილისის უძლიერესი მოჭადრაკე.

ასე გამოვიდა საჭადრაკო ასპარეზზე მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა 23 წლის გროსმაისტერი ტიგრან პეტროსიანი.

ტიგრან პეტროსიანი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა მშობლები დაკარგა: მოუკვდა დედა და მამა, მაგრამ ის არ დარჩენილა უპატრონოდ: პიონერთა სასახლემ, პიონერთა ორგანიზაციამ, რომელსაც ის სიყვარულით იგონებს, გაუწიეს მას მეგობრული, მზრუნველი დახმარება სკოლაში და ჭადრაკის თამაშის დაუფლებაში. ასეთი ყურადღებით მხოლოდ ჩვენს დიად სამშობლოში არიან ადამიანები გარემოცულნი.

1946 და 1947 წლებში ოსტატობის კანდიდატი ტ. პეტროსიანი საბჭოთა კავშირის ჭაბუკ-მოჭადრაკეთა ჩემპიონია, ამავე დროს ის საქართველოს და სომხეთის ჩემპიონიც არის. 1947 წელს იგი წარმატებით გამოდის საკავშირო პირველობის ნახევარფინალში, და 18 წლისა აღწევს სპორტის ოსტატის საპატიო წოდებას.

წარმატებას წარმატება მოსდევს. 1949 წელს ტიგრანი მოსკოვშია. იგი უკვე საბჭოთა კავშირის პირველობის ფინალში იბრძვის ცნობილ გროსმაისტერებისა და ოსტატების მხარდამხარ. მოსკოვის 1951 წლის პირველობაში ის წაუგებლად გადის პირველ ადგილზე და საყვარელი დედაქალაქის ჩემპიონი ხდება. იმავე წელს XIX საკავშირო პირველობაში ღებულობს მონაწილეობას. ამ ტურნირში ნიჭიერმა ოსტატმა გამოამჟღავნა თავისი დიდი საჭადრაკო ნიჭი. იგი შეუპოვრად იბრძვის ყოველ პარტიაში და ამარცხებს გროსმაისტრებს: სმისლოვს, ბონდარევსკის, კოტოვს, დაძაბული ბრძოლის შედეგად ყაიმით მთავრდება მისი პარტიები მსოფლიო ჩემპიონ მ. ბოტვინიკთან, პ. კერესთან, ს. ფლორთან. მონდომებული თამაშით პეტროსიანი მეორე-მესამე ადგილზე გადის.

ამ დიდი წარმატებისათვის 1952 წლის გაზაფხულზე ახალგაზრდა მოჭადრაკე დაუშვეს ბუდაპეშტის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც იგი შესანიშნავი თამაშით პრიზიორთა რიცხვში მოხვდა. ამისათვის მას საერთაშორისო ოსტატის წოდება მიანიჭეს.

1952 წლის შემოდგომაზე პეტროსიანი სხვა ოთხ საბჭოთა მოჭადრაკესთან ერთად გაგზავნეს სტოკჰოლმის საერთაშორისო ტურნირზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 13 ქვეყნის 21 მოჭადრაკე. ამ მნიშვნელოვან ტურნირში პეტროსიანმა ღირსეულად დაიცვა საბჭოთა საჭადრაკო ხელოვნების სპორტული ღირსება. მან ბრწყინვალე შედეგით—$13^1/_2$ ქულით, წაუგებლად, დაიკავა II-III ადგილი. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ ამ წარმატებისათვის ტ. პეტროსიანს მიანიჭა საერთაშორისო გროსმაისტერის საპატიო წოდება. გარდა ამისა, ტურნირში გამარჯვებით ახალგაზრდა გროსმაისტერმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონ მ. ბოტვინიკთან 1954 წელს მატჩისათვის გამოსავლენ პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლება, რომელიც წელს გაზაფხულზე გაიმართება.

აი ასეთია სპორტული მიღწევების გზა, რომელიც განვლო თბილისის ვაჟთა მე-5 სკოლის ყოფილმა მოსწავლემ ტიგრან პეტროსიანმა ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონობის კანდიდატობამდე.

### ტ. პეტროსიანი—პ. კერესი

**ბუდაპეშტის საერთაშორისო ტურნირი 1952 წ.**

**ნიმცოვიჩის დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3. კb4 4. e3 0—0 5. მf3 d5 6. კd3 c5 7. 0—0 b6 8. dc bc 9. მe2 მbd7 10. b3 (უკეთესი იყო 11. cd) e5! 11. კb1 e4 12. მd2 კa6 13. კb2 ლa5? (აქამდის კერესი კარგად თამაშობდა. აქ მას შეეძლო კ:d2-ით პაიკის მოგება. მაგალითად 13. ... კ:d2 14. ლ:d2 dc 15. bc კ:c4 16. ეcl კ:e2 17. ლ:e2 ლb6)



14. მ:e4! (შესანიშნავი კომბინაციური დარტყმა. თეთრები ხელში იღებენ ინიციატივას და პოზიციურად უკეთეს თამაშს ღებულობენ) de (თუ მ:e4, მაშინ 15. კ:e4 de 16. ლ:d7) 15. a3 კd2 16. b4 cb (16.... კ:b4, მაშინ 17. ab ლ:b4 18. კ:f6 მოგებით) 17. ლ:d2 კ:c4 18. ab ლg5 19. ეa5 ლh4 20. h3 ეfb8 21. მg3! ეb5 (არ შეიძლებოდა 21. ... კ:fl 22. მf5! გამო) 22. ე:b5 კ:b5 23. ეcl კd3 (შავები ცდილობენ ფიგურების გაცვლით შეიმსუბუქონ მდგომარეობა, მაგრამ) 24. კ:d3 ed 25. კd4 (თუ 25. ლ:d3, მაშინ ლ:b4) მe4 26. ლ:d3 მ:g3 27. fg ლ:g3 28 ლe4 (შემდეგ შავების მდგომარეობაში დასუსტდა მე-8 ჰორიზონტალი და უჯრა f7. შემდეგი სვლებით თეთრები იყენებენ ამ უპირატესობას და იგებენ პარტიას) ეd8 29. ლe7 ლb8 30. კ:a7 ლ:a7 (იძულებითი სვლა. 30. ... ლa8-ზე იქნებოდა 31. ეc7 ადვილი მოგებით) 31. ლ:d8+მf8 32. ლe8 ლa3 33. ეc7 ლb3 34. ლe7 ლd5 35. მფh2 h6 36. ეc8 კერესი დანებდა.

ფასი 2 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა
27/35

